www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 10 ივლისი, 2009 წელი. №154 (2192) | ფასი 50 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

# იმედგაცრუებული აგრესორი

*მოსკოვი საქართველოს წინააღმდეგ ახალი ომისთვის მზადებას საჯაროდ უარყოფს და აგრესიულ განზრახვებში საქართველოს ადანაშაულებს. რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ახალი აგრესიის ალბათობა იმით განისაზღვრება, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ბარაკ ობამამ ვლადიმირ პუტინზე მათი ერთობლივი საუზმის დროს - ამერიკის სისუსტე კრემლისთვის შეტევის სიგნალი უნდა გამხდარიყო. იმას, რომ ობამა-პუტინის შეხვედრაზე და ასევე მოსკოვში გამართულ ოფიციალურ მოლაპარაკებებზე საქართველოს საკითხი განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო, თავად რუსეთის ოფიციალური პირები ადასტურებენ.*

დიმიტრი ავალიანი

**"შეკვეთილი ფანტაზიები"** უწოდა გუშინ რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ იმ მოსაზრებებს, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ ახალი აგრესიისთვის რუსეთის მზადებას ეხება. მისი თქმით, ზოგიერთები თბილისში და დასავლეთში სამხედრო წვრთნებს "კავკასია 2009"-ს აგრესიულად და პროვოკაციულად ნათლავდნენ. ნესტერენკოს განმარტებით, არაფერი აგრესიული ამ წვრთნებში არ ყოფილა და მანევრების მიზანს რუსეთის სამხედრო ძალების მზადყოფნის შემოწმება წარმოადგენდა, რადგან **რუსეთის შეიარაღებული ძალები რეგიონში შემაკავებელ და ახალი ძალადობის არდაშვების ფუნქციას ასრულებენ.**

გაგრძელება A3 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი: რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესია მოსალოდნელი არ არის

A3



ადამიანებით ვაჭრობა

A7



რუსთაველის გათავისუფლება

A10



# "დიდი რვიანის" სამიტის მეორე დღე

## განხილვის მთავარი თემები - კლიმატი და ეკონომიკა

მარიკა იაშვილი

*აკვილაში დიდი რვიანის" სამიტის მეორე დღე გაფართოებული შემადგენლობით: 8+5 გაიხსნა. ლიდერებს: იტალიას, საფრანგეთს, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, კანადას, გერმანიასა და იაპონიას ბრაზილიის, ინდოეთის, მექსიკის, სამხრეთ აფრიკისა და ეგვიპტის ლიდერები შეუერთდნენ. ისინი გლობალური კრიზისიდან გამოსვლის გზებისა და ეკონომიკური ზრდის ახალი წყაროების პოვნას ერთად ეცდებიან.*

დღის განმავლობაში ორი სამუშაო სხდომა გაიმართა, მათ შორის კი საქმიანი სადილი, რომელზეც დღეს არსებული აქტუალური პრობლემების განხილვა გაგრძელდა.

პირველი სამუშაო შეხვედრა 8+5 ფორმატით გაიხსნა. თუმცა, პროტოკოლში ცვლილების შეტანა მაინც გახდა აუცილებელი, რადგან სამიტში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერმა ხუ ცზინ ტაომ, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე შიდა არეულობის გამო სამშობლოში დაბრუნდა.

გაგრძელება A7 გვერდზე



AFP ' 2009

*პირველი სამუშაო სხდომისა და სადილის შემდეგ*

# ფართო ოპოზიციური გაერთიანება

## ეროვნული ფორუმი ალიანსში გაწევრიანებას აპირებს

დათო გამისონია

*პოლიტიკურ ოპოზიციაში ძალთა ახალი გადანაწილება მიმდინარეობს. უპარტიო ლევან გაჩეჩილაძე საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის, ხოლო ალიანსი საქართველოსთვის გაფართოებას გეგმავს. მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდი პარტიად (სახელწოდებით - ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები ) ჩამოყალიბდება, სამი პოლიტიკური სუბიექტისგან შემდგარ ალიანსს, სავარაუდოდ, ეროვნული ფორუმიც შეუერთდება. ალიანსი საქართველოსთვის გაფართოება, დაახლოებით, ერთ თვეში იგეგმება.*

თუკი ეროვნული ფორუმი ალიანსი საქართველოსთვის წევრი გახდება, მასში შემავალი პოლიტიკური ძალები მჭიდრო თანამშრომლობას აპირებენ, რადგან ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის, რესპუბლიკელების და მემარჯვენეების ალიანსის თანამშრომლობა გარკვეულ კორექტივებს და მეტ დაახლოებას საჭიროებს. 24 საათთან საუბარში მემარჯვენე დავით საგანელიძემ განმარტა, რომ ეროვნულ ფორუმთან გაერთიანება ამ პროცესს კიდევ უფრო დააჩქარებს. გარდა ამისა, მან არ გამორიცხა, რომ ეროვნული ფორუმის ალიანსში გაერთიანების შემდეგ, 4 პარტიისაგან შემდგარი ერთობა მომავალში ერთ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდეს, თუმცა ამ საკითხზე დეტალურად საუბარი საგანელიძეს ჯერჯერობით ნაადრევად მიაჩნია. ამჯერად კი, ალიანსი საქართველოსთვის წევრმა ყურადღება პოლიტიკური პარტიების ალიანსურ რეჟიმში თანამშრომლობაზე გაამახვილა. **როცა მემარჯვენე იდეოლოგიის პარტიები ძლიერ ალინსში ერთიანდებიან, ეს მისასალმებელია,** - აღნიშნა საგანელიძემ. გარდა ამისა, მან მომავალი პოლიტიკური პარტნიორების საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე ისაუბრა.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ფრანკოფონიის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური რეზოლუცია

ფრანკოფონიის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეა სპეციალური რეზოლუციით რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებს ეხმაურება და მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებს, განსაკუთრებით ფრანკოფონიის წევრ სახელმწიფოებსა და მთავრობებს, ყველა საჭირო ზომას მიმართონ, რათა შესრულდეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება; დაუყოვნებლივ აღდგეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ გაერო-სა და ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიები და გაფართოვდეს ევროკავშირის მონიტორინგის მისია. ასევე შემუშავდეს ახალი საერთაშორისო სამშვიდობო მანდატი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად. ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის 35 სესიაზე მიღებული გადაწყვეტილება ჟურნალისტებს პარლამენტის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა გააცნო, რომელიც აღნიშნულ სესიაზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა. მისივე განცხადებით, სესიის მსვლელობისას როგორც ფრანკოფონიის ქვეყნებს, ასევე აფრიკის სახელმწიფოებსაც სრული ინფორმაცია მიეწოდათ აგვისტოს მოვლენების შესახებ. "ფრანკოფონიის ქვეყნებმა თავისი რეზოლუციით საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ ერთხელ დაუჭირეს მხარი," - აღნიშნა ბრიფინგზე ჩიორა თაქთაქიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატთა შესარჩევი ღია კონკურსის

## გამოცხადების შესახებ

1. მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, 2009 წლის 10 ივლისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. მეურვეობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება.

4. მეურვეობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. №1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო სამეურვეო საბჭოს წევრისათვის მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღეში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების სიის გამოქვეყნება.

6. ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (ე. შარაშიძე) 2009 წლის 10 ივლისამდე შექმნას ღია კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

*მიხეილ სააკაშვილი*

# ფართო ოპოზიციური გაერთიანება

პირველი გვერდიდან

მისთვის ნათელია, რომ მემარჯვენეები, რესპუბლიკელები და ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდი პროდასავლური პოლიტიკური ძალები არიან. რაც შეეხება კახა შარტავას პარტიას, როგორც საგანელიძემ აღნიშნა, **არ შემიძლია ვთქვა, რომ ეროვნული ფორუმი არის ანტიდასავლური.** ის მიიჩნევს, რომ **ფორუმი ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი პოლიტიკური ძალაა, თუმცა არც ახალი მემარჯვენეები ვართ არაეროვნულები.**

ალიანსი საქართველოსთვის წევრმა განსაკუთრებული პოლიტიკური სიმპათიები ეროვნული ფორუმის ლიდერების მიმართ გამოხატა. მისი ინფორმაციით, ამჟამად ფორუმთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს. თუმცა საგანელიძე მიიჩნევს, რომ ალიანსში ახალი პოლიტიკური სუბიექტის გაერთიანება დროში ტევადი თემაა. **ალიანსში ფორუმის შემოსვლა არ იქნება ფორმალური ნაბიჯი იმისთვის, რათა საზოგადოებამ დაინახოს, რომ ალიანსის გაფართოება გრძელდება, არამედ თავიდანვე უნდა ვისაუბროთ ერთიანი სტრუქტურის შექმნისა და პარტიული მართვის მენეჯმენტის შესახებ. ერთი თვის განმავლობაში ჩვენ ყველა იმ დეტალსა და ნიუანსზე ჩამოვყალიბდებით, რაც გრძელვადიანი გაერთიანების შექმნისთვის არის საჭირო,** - განმარტა დავით საგანელიძემ. მანვე დასძინა, რომ ალიანსში ეროვნული ფორუმის გაერთიანების შემდეგაც ერთობის ლიდერი ირაკლი ალასანია იქნება.

24 საათთან საუბარში რესპუბლიკური პარტიის წევრმა პაატა ზაქარეიშვილმა პოლიტიკური ძალების მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა საქართველოში შექმნილი ვითარებით ახსნა. ის მიიჩნევს, რომ 9 აპრილს დაწყებულმა საპროტესტო მოძრაობამ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური კონტექსტი შექმნა და ამიტომ პოლიტიკური ძალების ახალი გადანაწილების აუცილებლობა დადგა. **მოქალაქეების დიდი ნაწილი ქუჩაში იყო გამოსული და ცვლილებებს მოითხოვდა. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე ოპოზიციისთვის,** - აღნიშნა ზაქარეიშვილმა. მისი აზრით, არსებულ სიტუაციაში ეროვნული ფორუმის ალიანსში გაერთიანებას პოზიტიური შედეგი ექნება. კერძოდ, თუკი პოლიტიკური ძალები საერთო ენას პოულობენ, ასეთ შემთხვევაში გაერთიანება მათი ინტერესების რეალიზებას ემსახურება. რაც შეეხება საკუთრივ, ალიანსი საქართველოსთვის პოზიციას, ზაქარეიშვილის თქმით, ალიანსისთვის გაფართოება შექმნის დღიდანვე აუცილებელი პირობა იყო. **ალიანსი ღია კარის პრინციპით მოქმედებს და იმ პოლიტიკურ ძალებს, ვისთვისაც ალიანსში არსებული ძალების ღირებულებები მისაღებია, პრობლემა არ ექნებათ, რომ ალიანსი საქართველოსთვის წევრები გახდნენ,** - განმარტა პაატა ზაქარეიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ ალიანსში შემავალი პოლიტიკური პარტიების წევრები ფორუმთან მიმდინარე კონსულტაციების შესახებ საუბრობენ, გუშინ ეროვნული ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი მელაშვილმა 24 საათთან ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა.

# ოპოზიცია სახელისუფლებო გუნდის საკანონმდებლო ინიციატივებს აკრიტიკებს

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიციისთვის კატეგორიულად მიუღებელია საპარლამენტო უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. ქრისტიან-დემოკრატები საკანონმდებლო პაკეტს მხარს არ უჭერენ და მას "უკან გადადგმულ ნაბიჯად" აფასებენ. ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ სახელისუფლებო გუნდის ინიციატივა არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ორგანიზებული ქუჩის აქციების წინააღმდეგ არის მიმართული.

**ვფიქრობთ, ეს ცვლილებები ნამდვილად არ უწყობს ხელს ევროპულ კანონმდებლობასთან ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას. პირიქით, ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი. ასეთი მკაცრი კანონმდებლობა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოში ჯერ არასდროს ყოფილა. სრულიად ნათელია, რომ ეს კანონი სპეციალურად არის შექმნილი აპრილ-მაისის აქციებისთვის,** - აცხადებს ლალიაშვილმა.

"ქრისტიან-დემოკრატებისთვის" ასევე მიუღებელია ის ცვლილებებიც, რომელთა შეტანაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში იგეგმება. **"იმის ნაცვლად, რომ ევროსაბჭოს მოთხოვნების შესაბამისად, მოვახდინოთ კანონმდებლობის მაქსიმალური ლიბერალიზაცია და ჰუმანიზაცია, შევამციროთ პატიმრობის ვადები, პირიქით ვიქცევით - პატიმრობის ვადებს ვასამმაგებთ,** - სახელისუფლებო ფრაქციის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს აკრიტიკებს ლალიაშვილი.

იგი ასევე ეწინააღმდეგება ხალხის რაოდენობის მიხედვით გზის სავალი ნაწილის გადაკეტვის რეგლამენტირებას. რაც შეეხება ადმინისტრაციული შენობების ფასადებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე წარწერების და ნახატების გაკეთების აკრძალვას, ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელი ამას "არაკონსტიტუციურად" და "არადემოკრატიულად" აფასებს.

სახელისუფლებო ფრაქციის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე კიდევ უფრო მძაფრი რეაქცია აქვთ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს.

მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივანი ეკა ბესელია ამ ცვლილებათა პროექტს ვენეციის კომისიას უგზავნის და დასკვნის გამოტანას სთხოვს.

**"ჩვენ კომისიას ვთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში ექსპერტული დასკვნა წარმოადგინოს იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი ცვლილებები ევროპის საბჭოს წინაშე საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, ასევე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებს, რომლებზეც მიერთებულია საქართველო,"** - ითხოვს ბესელია. მისივე თქმით, ამ დასკვნის წარმოდგენის შემდეგ უკვე ხელისუფლების გადასაწყვეტი იქნება, გაუწევს თუ არა ანგარიშს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს.

კიდევ ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი გიორგი ცაგარეიშვილი კი ნორმატიული აქტების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს აკრიტიკებს. დეპუტატის მტკიცებით, მათი მიღების შემთხვევაში, მოხდება საქართველოს საპატრიარქოს მდგომარეობის ნიველირება.

**"ეს არის ძალიან მზაკვრული გეგმა. მრევლის ზურგს უკან ხდება იმ უპირატესობების გაუქმება და შელახვა, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი, რომლითაც გამყარებულია საქართველოს საპატრიარქოს პრიმატი, ადრე თუ გვიან ამ ხელისუფლების ხელში ასევე გაუქმებული იქნება,"** - ვარაუდობს ოპოზიციონერი დეპუტატი.

ნორმატიული აქტების შესახებ კანონში" შესატან ცვლილებებს ახალი მემარჯვენეებიც" კონკორდატის დაკანონების მცდელობად აფასებენ. ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, ეს ცვლილებები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების (იგივე კონკორდატის) დაკანონებას ისახავს მიზნად.

საპარლამენტო უმრავლესობაში პოლიტიკური ოპონენტების ბრალდებებს არ ეთანხმებიან.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი დარწმუნებულია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაფორმებულ საკონსტიტუციო შეთანხმებაზე ინფორმაცია არასწორად გავრცელდა და სიმართლეს არ შეესაბამება.

სახელისუფლებო ფრაქციის კიდევ ერთი წარმომადგენელი მურთაზ ზოდელავა კი ოპოზიციონერი კოლეგების ფანტაზიის საზღვრებით გაოცებულია.

**ამ ყველაფრის მიზეზი ჩემთვის გაუგებარია. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ალბათ გია ცაგარეიშვილს ძალიან უნდა ტელეეთერში გამოჩენა და ამისთვის ყოველგვარ არარსებულ თემებს იგონებს,** - მიიჩნევს ზოდელავა, რომელიც ნორმატიული აქტების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების ერთ-ერთი ავტორია.

საკანონმდებლო ცვლილებების ირგვლივ პოლემიკა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გამწვავდება, როდესაც შესაბამისი კანონპროექტები განსახილველად პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე გავა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# იმედგაცრუებული აგრესორი

პირველი გვერდიდან

ნესტერენკოს განცხადებით, ეს ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც **ოფიციალურ თბილისს რევანშისტული მიდრეკილებები აქვს და საკუთარ სამხედრო პოტენციალს საზღვარგარეთის ხელშეწყობით აძლიერებს.**

რუსული საგარეო უწყების წარმომადგენლის განცხადებას წინ უძღოდა რუსი ექსპერტების ვარაუდები იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მასშტაბური წვრთნები, რომლებიც ფორმალურად 6 ივლისს დასრულდა, სწორედ საქართველოს წინააღმდეგ ომის სამზადისს ემსახურებოდა.

ცნობილი რუსი მიმომხილველი იულია ლატინინა თავის სტატიაში - **ომის სუნი საუზმეზე** - აღნიშნავს, რომ კავკასია 2009 შარშანდელ, რუსეთის მიერ საქართველოსთან ომის წინ ჩატარებულ წვრთნებს ჰგავს და **ომის სუნი ჰაერში ისევ დადგა.**

ლატინინა აღნიშნავს, რომ წვრთნების პარალელურად, საქართველოს მოსაზღვრე რუსეთის რეგიონებში **ანტიტერორისტული ოპერაციის** რეჟიმი გამოცხადდა, ზოგ ადგილებში კი ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაციაც მოხდა. **დეჟა ვიუს შთაბეჭდილება რჩება, როცა რუსეთი საქართველოს ისევ აგრესიაში ადანაშაულებს. თანაც მაშინ, როდესაც თავად მიაღწია რეგიონიდან გაერო-სა და ეუთო-ს დამკვირვებელთა გაყვანას, რათა დაგეგმილი აგრესიის მოწმეები მოიშოროს. ძნელი იქნებოდა ამის შეფასება მხოლოდ შანტაჟად. რუსეთი საომარ მობილიზაციას ახორციელებს.**

მიმომხილველის აზრით, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ახალი აგრესიის შესაძლებლობა მთავარი განსახილველი საკითხი უნდა გამხდარიყო მოსკოვში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის დროს, უფრო სწორად - ვლადიმირ პუტინისა და ბარაკ ობამას ერთობლივ საუზმეზე.

**მიიღებს თუ არა რუსეთი მწვანე შუქს, ეს დამოკიდებულია არა რაიმე სამხედრო საკითხების განხილვაზე, არამედ იმაზე, მიაჩნია თუ არა ობამასთან შეხვედრის შემდეგ პუტინს, რომ მას ომის დაწყება დასავლეთის მხრიდან რეაგირების გარეშე შეუძლია,** - წერს ლატინინა.

მისი აზრით, ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის სტრატეგიული შეიარაღების შესახებ ხელმოწერილ შეთანხმებას ბევრად ნაკლები, მეორადი მნიშვნელობა აქვს: **ბოლოს და ბოლოს, რუსეთი და შეერთებული შტატები ამ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ არასდროს გამოიყენებენ.**

რუსი ექსპერტი ობამას მიერ გამართულ შეხვედრებს ადარებს გასული წლის 8 აგვისტოს პუტინსა და ბუშს შორის პეკინში გამართულ შეხვედრას, რომელზეც აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ **ომი არავის სურს.** ლატინინას აზრით, პუტინმა ეს სიტყვები ისე გაიგო, რომ აშშ საქართველოს დახმარებას არ აპირებს.

იგივე მისაზრებას გამოთქვამს რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი. მისი თქმით, ობამას მოსკოვში ვიზიტის შემდეგ ახალი ომის შესაძლებლობა გარკვეულწილად შემცირდა. თუმცა, **თუ პუტინმა ობამას სისუსტე შეატყო,** ახალი აგრესია გამორიცხული არ არის.

იმის შესახებ, რომ საუზმის დროს ობამასა და პუტინის საუბარში საქართველოს თემა ერთ-ერთი მთავარი იყო, შეხვედრის შემდეგ რუსეთის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილემ იური უშაკოვმა განაცხადა. მისი თქმით, რუსეთის პრემიერმა შეერთებული შტატების პრეზიდენტს გააცნო მოსკოვის არგუმენტები საქართველოსა და უკრაინასთან რუსეთის ურთიერთობის თაობაზე. როგორც ჩანს, პუტინმა ობამას განუმარტა, რომ ამ ქვეყნებზე სრული და უპირობო კონტროლის უფლება მხოლოდ მოსკოვს უნდა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, უშაკოვმა მაშინ იმედი გამოთქვა, რომ ობამა რუსული მხარის არგუმენტებს **მხედველობაში მიიღებდა.**

იმას, რომ მოსკოვი ვაშინგტონთან მოლაპარაკებისას პოსტსაბჭოთა სივრცეზე საკუთარი გავლენის საკითხს ღიად აყენებდა, რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური პრესრელიზიც ადასტურებს, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის დროს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინისა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსის შეხვედრას მიეძღვნა.

ამ ინფორმაციის თანახმად, მხარეებმა ამ შეხვედრაზე საქართველოში და მთიან ყარაბაღში კონფლიქტების დარეგულირების, ასევე **დსთ-ს ქვეყნებთან აშშ-სა და რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების** საკითხები განიხილეს.

თუმცა, აშშ-ს პრეზიდენტმა მოსკოვში ყოფნისას საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ნატო-ში გაწევრიანების უფლებას დაუჭირა მხარი - ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ.

# მიხეილ სააკაშვილი: რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესია მოსალოდნელი არ არის

გუშინ გამართულ საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მოსკოვური ვიზიტის შედეგები შეაჯამა და საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილი ვითარების ფონზე, საქართველოს მდგომარეობის შესახებ ისაუბრა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სერიოზული საფრთხე, მოცემულ სიტუაციაში, კერძოდ, მოსკოვში აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს მორიგი სამხედრო აგრესია აღარ ემუქრება.

**ვფიქრობ, ყველა ხვდება, რომ რუსეთი გეგმავდა მორიგ ომს საქართველოს წინააღმდეგ, რაც ალბათ სავალალო შედეგს მოიტანდა და 20-იან წლებში დაგვაბრუნებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისა და მთელი დემოკრატიული მსოფლიოს მხარდაჭერით, მათ ამის საშუალება არ მიეცათ. პირველი სერიოზული გზავნილი საქართველოს მხარდაჭერის შესახებ ცივილიზებული მსოფლიოსგან რუსეთმა ნიუ-იორკში, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიღო, სადაც მათ ვეტოს გამოყენება მოუხდათ. მიუხედავად ამისა, ალბათ მაინც ჰქონდათ იმედი, რომ აშშ-ს მხრიდან ასეთი პრინციპული მიდგომა არ იქნებოდა, თუმცა ობამამ ყველა საკითხში აშკარად დააფიქსირა საქართველოს მხარდამჭერი პოზიცია,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, რუსეთს საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად ორი ძირითადი გეგმა ჰქონდა - ერთი მხრივ, შიდა არეულობის ხელშეწყობა და მეორე მხრივ, საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე პოლიტიკური ვაჭრობა.

**რუსეთი აქტიურად ცდილობდა და ცდილობს საქართველოში შიდაპოლიტიკური სიტუაციის არევას, რა განზრახვითაც, საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების დასაფინანსებლად, შემოედინებოდა და შემოედინება რუსული ფული. მეორე მხრივ კი, რუსეთი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ცდილობდა, ნებისმიერ პოლიტიკურ ფასად, თუნდაც ეს ყოფილიყო ავღანეთის საკითხი ან ბირთვული შეიარაღების შემცირება, გარიგება მომხდარიყო და საქართველოზე გავლენა მოეპოვებინა. თუმცა, ჩვენმა პარტნიორებმა არ გაგვწირეს და ეს ვაჭრობა არ შედგა,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, რუსეთმა ამ ორი გეგმიდან ვერც ერთის შესრულება ვერ შეძლო, სანაცვლოდ კი, საკუთარი პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაიუარესა. **რუსეთმა საქართველოზე განხორციელებული აგრესიის შედეგად თავი უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიგდო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდი ტკივილი განვიცადეთ და ტერიტორიები დავკარგეთ, რაც ჩვენთვის უპირველესი პრობლემაა, რუსეთის მდგომარეობის ჩვენთან შედარება ალბათ შეუსაბამო იქნება. მათ ჩვენზე განხორციელებული აგრესია გლობალურ პოლიტიკურ პრობლემად შემოუბრუნდათ,** - განაცხადა გუშინ პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც საქართველომ რუსეთისგან თავიდან მორიგი სამხედრო საფრთხე აიცილა, მეტი განვითარების საშუალება მიეცა. **საქართველომ აუცილებლად უნდა გააგრძელოს წინსვლა, რაშიც, პირველ რიგში, საქართველოში არსებული ოკუპირებული რეგიონების რეალური დეოკუპაცია იგულისხმება. იმედი მაქვს, ამ კუთხით მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოებისგან აქტიური მხარდაჭერა მომავალშიც გვექნება,** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

*ინტერპრესნიუსი*

# სოლიდარობა სეპარატისტულად

*ოსი სეპარატისტები ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების შეხვედრებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ.*

მას შემდეგ, რაც სოხუმის სეპარატისტულმა რეჟიმმა ჟენევის მოლაპარაკებებიდან შესაძლო გასვლის შესახებ განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე საკუთარი პოზიცია ცხინვალის მარიონეტულმა ხელისუფლებამაც გამოხატა. ოსი სეპარატისტები ჟენევის მოლაპარაკებებზე უარს არ ამბობენ, თუმცა აცხადებენ, რომ ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების შეხვედრებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების შეხვედრის ჩატარების გადაწყვეტილება კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების მეექვსე რაუნდზე იქნა მიღებული.

ოსი სეპარატისტების პოზიცია პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა გაახმოვანა.

ჩოჩიევის განმარტებით, მათი უარი ორი მიზეზით არის განპირობებული. საქმე ეხება ჯგუფის თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობას და ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგული ოსი მოქალაქეების ბედის გაურკვევლობას.

**უკვე გამართულ ორ შეხვედრაზე საორგანიზაციო საკითხების შესახებაც კი ვერ შევთანხმდით. რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ? თუ სამუშაო ჯგუფის მონაწილეებს ჩვენი მოქალაქეების ბედი არ აინტერესებთ, მათთან მომავალი თანამშრომლობის აზრს ვერ ვხედავთ. შეხვედრები შეხვედრებისთვის არ გვაინტერესებს,** - განაცხადა ჩოჩიევმა გაზეტასთვის მიცემულ ინტერვიუში.

იმავე ინტერვიუში ჩოჩიევმა აღნიშნა, რომ ცხინვალი ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე უარს არ ამბობს.

მოგეხსენებათ, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა ჟენევის მოლაპარაკებებიდან შესაძლო გასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

ოფიციალური თბილისის შეფასებით, სეპარატისტული აფხაზეთის და ოსეთის წარმომადგენელთა განცხადებებში რუსეთის პოზიცია იკითხება.

ცნობისათვის - ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მორიგი შეხვედრა გალში 14 ივლისისთვის არის დაგეგმილი. ქართული მხარის განცხადებით, შეხვედრაზე პრიორიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხს მიენიჭება. კერძოდ, შერეული ჯგუფის წარმომადგენლებმა, ინციდენტების პრევენციის მიზნით, კონკრეტული მექანიზმების შემუშავების საკითხები უნდა განიხილონ.

*საკუთარი ინფორმაცია*

## თბილისში რადიაქტიური ნივთიერებები აღმოაჩინეს

თბილისში, მოსკოვის გამზირზე, ჯართის ჩამბარებელ ერთ-ერთ პუნქტში რადიაქტიური ნივთიერებები აღმოაჩინეს. სპეციალისტების ინფორმაციით, აღმოჩენილი ნივთიერებები "ცეზიუმ 137" და "სტრანციუმ 90" მოსახლეობისთვის სახიფათო არ არის. გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ნივთიერება სპეციალურ კონტეინერებში მოათავსეს. სპეციალისტები რადიაქტიური ნივთიერებების წარმომავლობას შეისწავლიან და ჯართის მიმღებ პუქტში მოხვედრის გზებს გამოიძიებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ლეიბორისტები" "ავერსსა" და "პსპ"-ს მედიკამენტებზე ფასების ხელოვნურ ზრდაში ადანაშაულებენ

ლეიბორისტები ფარმაცევტული კომპანიების "ავერსისა" და "პსპ"-ს წინააღმდეგ გამოდიან. ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები ფარმაცევტულ კომპანიებს ფასების ხელოვნურ ზრდაში ადანაშაულებენ. პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გუშინდელ ბრიფინგზე ის მედიკამენტები დაასახელა, რომლებზეც ფასი ხელოვნურად არის გაზრდილი. მედიკამენტთა შორისაა "ნოშპა", "კეტანოლი" და სხვ. ლეიბორისტები ხელისუფლებას მედიკამენტებზე ზღვრული ფასების დაწესებას სთხოვენ. "პსპ" და "ავერსი", რომლებიც ფულით სავსე ქეისებს არიგებენ ხელისუფლებაში, ფარმაციულ ბანდიტებად გადაიქცნენ. ეს კომპანიები ყოველდღიურად აძვირებენ მედიკამენტებზე ფასს. წამლებს, რომლებიც თითოეული ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, დღეს აფთიაქებში მამასისხლის ფასი ადევს," - განაცხადა გიორგი გუგავამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დედაქალაქის განვითრების კომისიას მამუკა ახვლედიანი უხელმძღვანელებს

დედაქალაქის განვითრების კომისიას თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი უხელმძღვანელებს, - ეს გადაწყვეტილება დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე მიიღეს. ახვლედიანის განცხადებით, კომისიის შემადგენლობაში შედიან ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების მოადგილეები. კომისია ბინების გამოსყიდვის ფასებს დაადგენს და კოორდინირებას გაუწევს პროექტების დაფინანსებას. პროექტი ქალაქის ექვს ძველ უბანში მშენებლობების დაწყებას და მობინადრეების ფართებით დაკმაყოფილებას ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, სამშენებლო კომპანიებსა და ბანკებს შორის სესხის აღებისას გარანტორად სახელმწიფო დგება. პროექტში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ სამშენებლო კომპანიას შეუძლია. კომისია 13 ივლისიდან შეუდგება მუშაობას.

თბილისის მერმა გიგი უგულავამ მთავრობის წევრებს გააცნო მერიის ახალი გადაწყვეტილება ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის შექმნის შესახებ. "ამ პროგრამის შედეგად ვიღებთ გაუმჯობესებულ საცხოვრებელ პირობებს უამრავი ადამიანისთვის, შეჩერებული შენობების გაგრძელებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ბანკებისთვის სტიმულირებას. მინდა, ყველა გამგებელს ვთხოვო, აქტიურად იყოს ჩართული. ეს ზოგადად, მშენებლობებს ეხება. დაიარეთ თითოეული მშენებლობა და ჰკითხეთ თითოეულ მშენებელს, რა პრობლემები აქვთ," - განაცხადა უგულავამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## შატილის მიმართულებით პირველი სარეისო ავტობუსი გავა

დღეს შატილის მიმართულებით პირველი სარეისო ავტობუსი გავა. 20 წელზე მეტია, პირიქითა ხევსურეთის მიმართულებით ტრანსპორტი არ ყოფილა დანიშნული და ადგილობრივ მოსახლეობას ქვეითად უწევდათ 50 კმ-ს გავლა სოფელ ბარისახომდე, საიდანაც ტრანსპორტი დადის. ავტობუსი, პრეზიდენის პროგრამის ფარგლებში, დუშეთის გამგეობის დახმარებით დაინიშნა. ავტობუსი, კვირაში ერთხელ, დიდუბის ავტოსადგურიდან ივლის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გრიგოლ ვაშაძე პატრიცია ფლორს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გუშინ გერმანიის ელჩს საქართველოში პატრიცია ფლორს შეხვდა. საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-გერმანიის ორმხრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. გარდა ამისა, ვაშაძემ და ფლორმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. **პირველი**

## აფეთქება ხვიჩიას ქუჩაზე

თბილისში, ხვიჩიას ქუჩაზე აფეთქება მოხდა. ექვსსართულიანი სახლის მესამე სართულზე, სავარაუდოდ, ხელყუმბარა აფეთქდა. წინასწარი მონაცემებით, ხელყუმბარა გეგიძეების სახლის კარებზე იყო დამონტაჟებული და იგი კარის გაღებისას ამოქმედდა. აფეთქების შედეგად დაზიანება მიიღო მარინა გეგიძემ და მისმა 8 წლის შვილმა, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. შემთხვევის ადგილზე, გუშინ, მთელი დღის განმავლობაში კრიმინალისტები და საგამოძიებო ჯგუფები მუშაობდნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## რუსთავში მტკვრის დინებამ ახალგაზრდა გოგონა გაიტაცა

რუსთავში ორი გოგონა მტკვრის დინებამ გაიტაცა. ერთ-ერთი მათგანის, 17 წლის ლალი ხარატიშვილის გამოყვანა მაშველებმა მოახერხეს, თუმცა გოგონას თქმით, მასთან ერთად მეგობარი გოგონაც იმყოფებოდა, რომლის პოვნაც მაშველებმა ვერ შეძლეს. როგორც გაირკვა, გოგონებთან ერთად ორი ახალგაზრდა მამაკაცი იმყოფებოდა, რომლებიც სამართალდამცველებმა რუსთავის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. პოლიციის წარმომადგენლები ადგენენ, მათთან ერთად მყოფი გოგონა ნამდვილად დაიხრჩო თუ ის სხვა შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## დაკავება ქრთამის აღების ფაქტზე

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე რუსთავის რეგიონალური ცენტრის "გუგუთის" საბაჟო გამშვები პუნქტის მებაჟე-ინსპექტორი ალექსანდრე რეხვიაშვილი დააკავეს, რომელმაც, სამართალდამცველების ინფორმაციით, სასომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში სათანადო ნებართვის გარეშე ძეხვის შემოტანის სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით გამოსძალა 150 ლარი. წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## გზავნილი ევროპის საბჭოს

არასაპარლამენტო ოპოზიციის ინფორმაციით, საპროტესტო აქციების სამი თვის თავზე, 116 ადამიანია დაკავებული. როგორც მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური დირექტორი ეკა ბესელია აცხადებს, 9 აპრილიდან დღემდე, 116 ადამიანის მიმართ, რომლებიც ოპოზიციის საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ, ხელისუფლებამ სადამსჯელო ღონისძიებები განახორციელა. აღნიშნული მონაცემიდან, ბესელიას თქმით, სისხლის სამართლის წესით 33 ადამიანი დააკავეს, აქედან 5 გირაოს შეფარდებით გაათავისუფლეს. ადმინისტრაციული პატიმრობა 42 ადამიანს შეუფარდეს, 41 კი დააჯარიმეს. სულ სადამსჯელო ღონისძიებები 116 ადამიანზე განხორციელდა, აქედან 15 მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წევრია. გარდა ამისა, დაზარალებულია 200-ზე მეტი ადამიანი და არც ერთ ფაქტზე არ არის დასჯილი არც ერთი პოლიციელი და მოხელე. ევროპის საბჭოს ვუგზავნი იმ მასალას, რომელიც ეხება 9 აპრილიდან დღემდე ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ რეპრესიებს," - აცხადებს ეკა ბესელია.

*მედიანიუსი*

**ს ა ა დ ვ ო კ ა ტ ო**
**ბ ი უ რ ო**

**გაგიწევთ კვალიფიციურ კონსულტაციასა და მომსახურებას**

**სისხლის სამართალი**

**სამოქალაქო სამართალი**

**ადმინისტრაციული სამართალი**

მის: ხიზანიშვილის 37

(მეტრო" ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია)

ტელ: 8(22) 588108

858 418945 ქეთევან ქურასბედიანი

# მართლმსაჯულების პირველი ინსტანციის მიერ განხილული საქმეები

*თბილისის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასამართლოა, არა მარტო მოსამართლეთა რაოდენობით, არამედ განხილულ საქმეთა რაოდენობითაც. არსებული სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წელს საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა 37,2 პროცენტი თბილისის საქალაქო სასამართლოზე მოდიოდა.*

სიტუაცია არ შეცვლილა არც 2007 წელს - თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმეთა 39,1 პროცენტი განიხილა. დაახლოებით იგივე მაჩვენებელი იყო 2008 წელსაც.

სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა 13 ათას 106 საქმე; 2007 წელს - 19 ათას 441; 2008 წელს კი - 18 ათას 839 საქმე.

საქმეებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 68 მოსამართლე განიხილავს, აქედან სისხლის სამართლის კოლეგიაში მართლმსაჯულებას განახორციელებს 24 მოსამართლე, სამოქალაქო კოლეგიაში 28 და ადმინისტრაციული კოლეგიაში 16 მოსამართლე.

გასულ წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამივე კოლეგიამ 18 ათას 839 საქმე განიხილა. სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლეებმა 7 ათასზე მეტი საქმე განიხილეს (მასში შედის საგამოძიებო ღონისძიებებზე განხილული შუამდგომლობები, აღკვეთის ღონისძიებები), სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლეებმა - 8 473 საქმე, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებმა 3354 საქმე (ამ რაოდენობაში შედის ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიც).

როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, რიგითი მოქალაქეების დიდი ნაწილი თავიანთი საქმეების გადაწყვეტას სასამართლოს ანდობს.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლის მაისამდე დედაქალაქში მართლმსაჯულებას პირველი ინსტანციის სასამართლოების დონეზე რაიონული სასამართლოები ახორციელებდნენ. სასამართლოები დედაქალაქის რაიონების მიხედვით იყო შექმნილი და, შესაბამისად, თბილისში ხუთი რაიონული სასამართლო მოქმედებდა, რაც, თავის მხრივ, მოუხერხებელიც იყო და დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული. იყო შემთხვევები, როცა საქმეების განხილვა ხშირად იმიტომ ჭიანურდებოდა, რომ საქმეთა განხილვის "ტერიტორიული პრინციპი" სადავო იყო. ამის გარდა, ერთი მოსამართლე იხილავდა როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რაც აისახებოდა საქმეთა განხილვის ხარისხზე. რადგანაც, როგორი პროფესიონალიც არ უნდა ყოფილიყო მოსამართლე, იგი ერთნაირად კვალიფიციური ვერ იქნებოდა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში. სწორედ, ამიტომ გაერთიანებულ საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაცია რეფორმის ერთ-ერთ სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

რაიონული სასამართლოების გაუქმებისა და საქალაქო სასამართლოების ჩამოყალიბების პროცესს თან ახლდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე - შეიქმნა მანდატურის სამსახური.

თუკი რეფორმამდე სასამართლო დარბაზში წესრიგის უზრუნველყოფა მხოლოდ მოსამართლეზე იყო დამოკიდებული, სასამართლოში არ არსებობდა მოხელე, რომელიც მოსამართლის ბრძანებას აღასრულებდა, დღეს უკვე სასამართლოებში წესრიგს კარგად ორგანიზებული და, შესაბამისად, მომზადებული მანდატურის სამსახურის თანამშრომლები უზრუნველყოფენ.

მიმდინარე რეფორმის შედეგია სასამართლო სისტემაში კანონმდებლობის კუთხით განხორციელებული კიდევ ერთი სიახლე. 2005 წლამდე განსაკუთრებული სიმძიმის დანაშაულებს და ასევე კონკრეტულ თანამდებობის პირთა საქმეებს პირველი ინსტანციით, განიხილავდა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია. მაღალი თანამდებობის პირს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირველი ინსტანციით ასამართლებდა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, ხოლო იგივე დანაშაულისთვის რიგით მოქალაქეს რაიონული სასამართლო. რეფორმის შედეგად კი, ნებისმიერი კატეგორიის საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

# "ფოთის წყალკანალის" გენერალური დირექტორი დააკავეს

*ბიუჯეტის კუთვნილი, დიდი ოდენობით 840 000 ლარზე მეტი თანხის მითვისებისთვის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ "ფოთის წყალკანალი"-ს გენერალური დირექტორი ვალოდია მსხილაძე დააკავა.*

დაიწყო სისხლის სამართლის საქმის N083098041 გამოძიება შპს "ფოთის წყალკანალის" ხელმძღვანელი პირების მიმართ. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის "დ" ქვეპუნქტით და 210-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

გამოძიების მასალების თანახმად, 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილის მქონე შპს "ფოთის წყალკანალის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობისას, ვალოდია მსხილაძემ, 2004-2008 წლებში, სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით, წყალსადენის სისტემის შიდა ქსელის მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროს, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებით, მიითვისა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა 477 000 ლარი.

გარდა ამისა, ვლადიმერ მსხილაძემ მის მიერ დაარსებული შპს "ქემაილი"-ს და მისი დირექტორის გიორგი მოდებაძის დახმარებით მიითვისა ხობის რაიონის სოფელ ხორგის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დიდი ოდენობით თანხა 200 000 ლარი.

სენაკში წყალსადენის სისტემის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას, შპს "ქემაილი"-ს მეშვეობით, რომლის ფაქტობრივი მფლობელიც თავად იყო, ვალოდია მსხილაძემ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამუშაოს მოცულობის ხელოვნურად გაზრდისა და სხვა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მიითვისა 115 454 ლარი.

9 ივლისს ვლადიმერ მსხილაძეს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ 182 მუხლის II ნაწილის "ა" პუნქტით, 182 მუხლის III ნაწილის "ბ" პუნქტით. 210 მუხლის I და II ნაწილის "ბ" პუნქტით და დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით.

2009 წლის 9 ივლისს გიორგი მოდებაძეს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ 182 მუხლის II ნაწილის "ა" პუნქტით, 182 მუხლის III ნაწილის "ბ" პუნქტით და დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ავადმყოფი პატიმარი მკურნალობას ითხოვს

*სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭაკუას ავადმყოფი პატიმრის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის რეკომენდაციით მიმართა.*

ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლების ინფორმაციით, 2009 წლის 17 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა და სახალხო დამცველის აპარატის სამედიცინო ექსპერტმა N6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული კახაბერ დ. მოინახულეს. მათი განმარტებით, პაციენტი დაავადებულია რამდენიმე პათოლოგიით. უჩივის ტკივილს დაზიანებული ძვლის არეში, პერიოდულად ტემპერატურის მომატებას, ნევროზულ მდგომარეობას.

**სამედიცინო გამოკვლევით, მას მარცხენა ბარძაყის ძვლის ქრონიკული ოსტეომიელიტის და სხვადასხვა ნერვული დაავადებების დიაგნოზი დაესვა. პაციენტი დაავადებულია ვირუსული C ჰეპატიტით და ჰორმონალური მოშლილობით. პატიმარს მიეცა დანიშნულება, თუმცა განმეორებითი კონსულტაციის და ადეკვატური სამედიცინო მეთვალყურეობის არარსებობის გამო, უცნობია მკურნალობის შედეგი,** - ამბობენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები.

ადამიანის უფლებების დამცველთა განცხადებით, კახაბერ დ. ოთხი თვე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიულ განყოფილებაში იყო. თუმცა, ავადმყოფობის ისტორიაში ინფექციონისტის არც ერთი ჩანაწერი არ მოიპოვება. პაციენტს ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატები მკურნალმა ექიმმა დაუნიშნა, რომელიც სპეციალობით ჰეპატოლოგი ან ინფექციონისტი არ არის, რის გამოც ცხადია, ადეკვატურ მკურნალობას ვერ ჩაატარებდა.

**ჰოსპიტალიზაციისას, ტრავმატოლოგიური მკურნალობა მხოლოდ ერთხელ ჩაუტარდა. ტრავმატოლოგის ჩანაწერის მიხედვით - დაავადების სპეციფიკიდან გამომდინარე, ავადმყოფისათვის ნესტიან გარემოში ყოფნა დაუშვებელია ". სახალხო დამცველის აპარატის მიერ N6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩატარებული არაერთი მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, დაწესებულებაში ამ კონკრეტული პაციენტისათვის აუცილებელი ჰაერის ტენიანობის დონე არ არსებობს და არც ადგილობრივ სამედიცინო ნაწილში არსებული რესურსებია საკმარისი ამბულატორული მკურნალობისთვის. აქედან გამომდინარე, მსჯავრდებული პაციენტის, კახაბერ დ-ს მიმართ დარღვეულია საკანონმდებლო ნორმები და შესაბამისად, დარღვეულია მისი უფლება ჯანმრთელობაზე,** - აღნიშნულია დასკვნაში, რომლის თანახმად, პატიმარ კახაბერ დ-ს შესაბამისი სამედიცინო დახმარება არ უტარდება.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭაკუას, უმოკლეს ვადებში გადაიყვანონ კახაბერ დ. ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელი იქნება მისთვის შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება და შემდგომში ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და მენეჯმენტი.

*საკუთარი ინფორმაცია*

# წამყვანი ეკონომიკების რეიტინგები ეცემა

## რეიტინგების დაცემის მიზეზად ექსპერტები ეკონომიკის სტიმულირების პაკეტებს ასახელებენ

მანანა ვარდიაშვილი

წამყვან ეკონომიკებს - აშშ-ს, გერმანიას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს სუვერენული რეიტინგები შეუმცირდათ. რეიტინგების შემცირება 2007 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო: 2007 წლის სექტემბერში აშშ-სა და გერმანიის რეიტინგები AAA-დან AA-მდე შემცირდა. აშშ-ს და გერმანიას კვალში საფრანგეთი მიჰყვა, რომლის რეიტინგიც 2008 წლის დეკემბერში AA-დან A-მდე დაქვეითდა. დიდი ბრიტანეთის რეიტინგი კი AA-დან BBB რეიტინგში 2009 წლის მარტში გადავიდა. არადა, ტრადიციულად ეს ქვეყნები კანადასთან ერთად საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების TOP რეიტინგებს იმსახურებდნენ. როგორც ჩანს, წამყვანი ეკონომიკების სარეიტინგო დაღმასვლა ჯერ არ დასრულებულა. გასულ თვეში Standard & Poor's-მა დიდი ბრიტანეთის მთავრობის რეიტინგი საგარეო ვალთან მიმართებაში სტაბილურიდან ნეგატიურით შეცვალა. ამ ცნობამ მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე დიდი ვნებათღელვა გამოიწვია. თუ ბრიტანეთი წამყვან რეიტინგს კარგავს, რა მოელის სხვა ქვეყნებს?

ამ მოლოდინთან დაკავშირებით ჟურნალ The Economist-ის სადაზვერვო სამსახურის - Economist Intelligence Unit-ის პროგნოზი ასეთია: აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი 2007-2008 წლების მშპ-ს 3,2 პროცენტიდან 2009-2010 წლებში მშპ-ს 13 პროცენტამდე გაიზრდება, 2012 წელს კი მშპ-ს 78 პროცენტს მიაღწევს; 2010 წლისთვის დიდი ბრიტანეთის ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 15 პროცენტამდე, გერმანიის - 5,7 პროცენტამდე (2008 წელს გერმანიას ბიუჯეტის დეფიციტი არ ჰქონდა), ხოლო საფრანგეთის 7,5 პროცენტამდე (2008 წელს ეს მაჩვენებელი 3,2 პროცენტი იყო) გაიზრდება.

Economist Intelligence Unit-ი საბიუჯეტო დეფიციტის ზრდის მიზეზად მთავრობების მხრიდან კომერციული სტრუქტურებისადმი გაწეულ ფინანსურ დახმარებას ასახელებს. არცთუ დიდი ხნის უკან აშშ-მ ბანკებიდან პრობლემური სესხები გამოისყიდა, რამაც კომერციული რისკების სუვერენულ რისკებად ტრანსფორმაცია გამოიწვია. ამავე დროს მთავრობები მშპ-ს ზრდის ტემპების გამოსაცოცხლებლად ფინანსური სტიმულირების პაკეტებს სულ უფრო ზრდიან. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ სტიმულირების პაკეტების მოცულობის ზრდა საგადასახადო შემოსავლების კლებისა და სოციალურ კეთილდღეობაზე გაწეული ხარჯების ზრდის ფონზე მიმდინარეობს.

აშშ-სგან განსხვავებით, სადაც ფინანსური დანაკარგების დიდი წილი უკვე აღიარეს, ფინანსური სტიმულირების პაკეტებზე მუშაობას ევროპის ბევრ ქვეყანაში ახლა იწყებენ. Economist Intelligence Unit-ის პროგნოზით, მთავრობები რაც უფრო მეტი ფინანსური ინსტიტუტის გადარჩენას შეეცდებიან, მით უფრო გაიზრდება სახელმწიფო ვალი. Economist Intelligence Unit-ი ხაზს უსვამს ფინანსური სტიმულირების პაკეტების შეზღუდულ შესაძლებლობასაც. როგორც წესი, ასეთი პაკეტები არასოდესაა საკმარისი და მათი ერთსა და იმავე დონეზე შენარჩუნება შეუძლებელია: ფინანსური სტიმულირების პაკეტის მოცულობა ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს, რაც თავისთავად სპირალური ინფლაციის და სახელმწიფო ვალის გაზრდის დიდ რისკსაც გულისხმობს. ინფლაცია ბევრი ქვეყნის საბაზრო ფასებზე უკვე აისახა. სახელმწიფო ვალის ზრდით გამოწვეული სუვერენული რეიტინგების შემცირება კი ამ ქვეყნებისადმი ინვესტორთა ნდობას მკვეთრად შეარყევს. ამ პროცესის კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი ეროვნული ვალუტების გაუფასურება იქნება. The Economist-ის სადაზვერვო სამსახურის პროგნოზით, ფინანსური დეფიციტის მოკლე პერიოდს ადვილად გადალახავენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი და გერმანია, რადგან ინვესტორთა მხრიდან ისინი ნდობის მაღალი ხარისხით სარგებლობენ.

Economist Intelligence Unit-ის ვერდიქტი ასეთია: მომავალში ინვესტორები დაინტერესდებიან იმ ქვეყნებით, რომელთა სახელმწიფო ვალიც დიდი არ იქნება და რომელთა პოზიციებიც საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების რეიტინგებში მკვეთრად არ შეიცვლება. ნებისმიერი ქვეყნისთვის სახელმწიფო ვალის დროულად გადახდა ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც ვალის დაფარვა პოლიტიკური ვალდებულებაა. მაგრამ ისიც ცნობილი ფაქტია, რომ მაშინ, როცა მთავრობები სახელმწიფო ვალს წარმატებით ამცირებენ, კერძო ბიზნესთან და ინვესტორებთან ურთიერთობაში პრობლემები მატულობს.

ფინანსური სტიმულირების პაკეტი საქართველოს მთავრობამაც შეიმუშავა. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა აღნიშნა, ახალი ფინანსური პაკეტი საქართველოს მთავრობამ, ეროვნულმა ბანკმა და თბილისის მერიამ საბანკო და სამშენებლო სექტორებთან ერთად შეიმუშავეს. მისი მიზანია მთავრობის მიერ ეკონომიკის სტიმულირება, საბანკო სექტორის აქტივობის ზრდის ხელშეწყობა და სამშენებლო სფეროს მხარდაჭერა.

ფინანსური პაკეტის პირველი პუნქტი უშუალოდ სამშენებლო სექტორის ხელშეწყობას ითვალისწინებს. ამ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო გარანტორად დაუდგება ბანკებს, რომ მათ დაუსრულებელ მშენებლობებსა და ავარიული ბინების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის სამშენებლო კომპანიებზე კრედიტები გასცენ.

პაკეტის მეორე პუნქტი გულისხმობს საბანკო სექტორსა და კერძო კომპანიებში არსებული აუთვისებელი თანხების ეკონომიკაში დაბრუნებას.

მესამე პუნქტის თანახმად, მთავრობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს მიმართავს, რათა მათ ქართულ საბანკო სექტორს დამატებით საკრედიტო რესურსი შესთავაზონ. მეოთხე მიმართულება საბანკო აქტივების შეწონილი კოეფიციენტის 1,75-დან 1,5 პროცენტამდე დაწევას გულისხმობს, რაც ბანკებს 700 მილიონ ლარზე მეტ რესურსს გამოუთავისუფლებს. მეხუთე მიმართულება გულისხმობს სავალუტო რისკების დაზღვევის ახალი ინსტრუმენტის - სავალუტო სვოპის ამოქმედებას. მისი მეშვეობით საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს გაცვლითი კურსის რისკს უხსნის, რაც მათ უცხოეთიდანვე მეტი თანხის მოზიდვაში დაეხმარება. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა საბანკო სექტორის მხარდაჭერის მიზნით 250 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვებასაც აპირებს. მთავრობას იმედი აქვს, რომ აღნიშნული წინადადებების განხორციელებით კერძო სექტორს საშუალება მიეცემა, დაწყებული სამუშაოები დაასრულოს და ახალი პროექტების რეალიზებას შეუდგეს.

ახლა უკვე დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ წლის ბოლოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს საგადასახადო შემოსავლების სახით სოლიდური თანხა დააკლდება. მიმდინარე წლის პირველ 4 თვეში, შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით, ბიუჯეტში 250 მილიონი ლარით ნაკლები თანხა შევიდა. ეკონომიკის სტიმულირების პაკეტზე მუშაობის გამჟღავნებისთანავე კერძო სექტორი სახელმწიფო დახმარების აუცილებლობაზე ალაპარაკდა (სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას ითხოვენ მეღვინეები და თხილის ექსპორტიორები). არიან აშშ-ს პრაქტიკის ქართულ რეალობაში გადმოღების მომხრეებიც: ისინი მთავრობას კომერციულ ბანკებში არსებული პრობლემური სესხების გამოსყიდვას ურჩევენ.

ეკონომიკის სტიმულირების მიზნით სახაზინო ვალდებულებების გამოშვების იდეა ექსპერტებმა უკვე გააკრიტიკეს: თუ ბანკები 250 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებებს შეიძენენ, ეს თანხა ეკონომიკის დაკრედიტების მაგივრად სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებას მოხმარდება და ქართულ ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი სასიკეთო გავლენის მოხდენას ვერ შეძლებს. PMC ჯგუფის დამფუძნებელი და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ლექსო ალექსიშვილი მიიჩნევს, რომ სუვერენული რეიტინგების დაცემა და სახელმწიფო ვალის ზრდა მეტწილად გლობალური საფინანსო კრიზისის ბრალია, ეკონომიკის სტიმულირების პაკეტების მიზანშეწონილობას კი მისი შინაარსი განსაზღვრავს: აქტივების გადაფასება და საგარეო ვალდებულებების ზრდა გლობალურმა საფინანსო კრიზისმა გამოიწვია. სუვერენული რეიტინგებიც ამის გამო დაეცა. ეკონომიკის სტიმულირების პაკეტების მიზანშეწონილობას პაკეტის შინაარსი განსაზღვრავს. სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორში აქტიური ფინანსური ინექციების განხორციელება (ვგულისხმობ პრობლემური სესხების გამოსყიდვას და სახელმწიფოს წილობრივ მონაწილეობას კომერციულ სტრუქტურებში, რაზეც ჩვენთანაც იყო საუბარი), არასწორი მიდგომაა და მას არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყვება. რა თქმა უნდა, არანაირი პოზიტიური შედეგი არ მოჰყვება სამშენებლო სექტორში სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური ინექციის განხორციელებასაც. ასეთი ფინანსური დახმარებები კრიზისიდან ვერ გამოგვიყვანს," - ამბობს ლექსო ალექსიშვილი.

# BP-მ ბიზნესჟურნალისტების განათლება დააფინანსა

მანანა ვარდიაშვილი



ბრითიშ პეტროლიუმმა" 12 ქართველ ჟურნალისტს ინგლისური ენის სწავლების კურსი დაუფინანსა. ამ ეტაპზე პროექტის მეორე ეტაპი დასრულდა და სხვადასხვა მედიასაშუალებებში მომუშავე ჟურნალისტებმა შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატები აიღეს. ბრითიშ პეტროლიუმის" ეს პროექტი ბიზნესკომპანიის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისა და სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენის კარგი ნიმუშია.

BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მრჩეველი თამილა ჩანტლაძე ამბობს: სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით არაერთი პროექტი განხორციელდა, მათ შორის ჟურნალისტებისთვისაც. ევრაზიის ფონდთან" ერთად, ქართველი ჟურნალისტებისთვის რამდენიმე სემინარი ჩავატარეთ. მათთვის საინტერესო თემებს თვითონ მედიის წარმომადგენლები ირჩევდნენ. ამ შემთხვევაშიც ჟურნალისტების ინტერესი გავითვალისწინეთ. ინგლისური ენის შესწავლის სურვილი მათ თავად გამოთქვეს. გამოცდილი პედაგოგები კი ბრიტანული საბჭოს" პროექტების მენეჯერმა რუსიკო ტყემალაძემ შეგვირჩია. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და სასარგებლო კურსი გამოვიდა".

სასწავლო კურსი ზუსტად 5 თვე გაგრძელდა. გაზეთ მესენჯერის" აღმასრულებელი რედაქტორი ეთუნა ცოტნიაშვილი ამბობს: "მიუხედავად იმისა, რომ კვირაში მხოლოდ ორი გაკვეთილი გვქონდა, ძალიან ბევრი მასალის გავლა მოვასწარით. ყველა გაკვეთილი საკმაოდ დატვირთული იყო. განსახილველ სტატიებს მსოფლიოს ცნობილი და გავლენიანი ბეჭდური თუ ინტერნეტგამოცემებიდან ჩვენი სურვილის და ინტერესის შესაბამისად ვირჩევდით. კურსი ძალიან დამეხმარა პროფესიულ განვითარებაში და ინგლისური ენის შესწავლის მხრივაც ძალიან ბევრი შევიძინე. მინდა მადლობა გადავუხადო BP-ს ამ კურსის დაფინანსებისთვის და ბრიტანულ საბჭოს, რომელმაც გამოცდილი პედაგოგი ბარი ვოტსონი შეგვირჩია. მისი დახმარებით ბევრი რამ ვისწავლეთ."

გაზეთ რეზონანსის" ჟურნალისტი მაკა ხარაზიშვილი: ძალიან კარგი პროგრამაა. ამ პროექტის პირველი ეტაპის მონაწილეც ვიყავი. პროგრამის ეს ნაწილი კი ნამდვილად გამორჩეული იყო, რადგან ინგლისური ენის სწავლების გარდა პროფესიულ მხარეზეც ვამახვილებდით ყურადღებას. განსახილველ სტატიებს ბიბისიდან", როიტერიდან", ასოშიეიტპრესიდან" და სხვა ცნობილი გამოცემებიდან ვიღებდით. ეს ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო. კარგი იქნება, თუ მსგავსი პროგრამით სხვა დონორები და კომპანიებიც დაინტერესდებიან და სწავლის გაგრძელებას დაგვიფინანსებენ".

# თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია შეიძლება გაიყიდოს

ნინო ნატროშვილი

ინფორმაცია ყაზტრანსგაზ თბილისის" შესაძლო გაყიდვის შესახებ ინტერნეტსაიტებზე გუშინ გავრცელდა. საიტზე გავრცელებული ინფორმაციის პირველწყაროდ კომპანიის ყაზახი დირექტორი კაზანჯირ კაინელდიევი სახელდება.

ყაზტრანსგაზ თბილისის დირექტორმა კაზანჯირ კაინელდიევმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანია შესაძლოა გაიყიდოს. მისი სიტყვებით, უახლოეს დღეებში თბილისში ყაზმუნაიგაზის დელეგაცია ჩამოდის, რომელიც ყაზტრანსგაზისძ ფასთწარმოქმნის საკითხს შეისწავლის, რადგან ჯერჯერობით არაა გარკვეული, რა ფასად შეიძლება იქნას გაყიდული კომპანია. ნათელია, რომ ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს ის ინვესტიცია, რომელიც ყაზახეთის კომპანიამ განახორციელა და რომელიც 200 მილიონ დოლარს შეადგენს, - აღნიშნა კაინელდიევმა.

ყაზმუნაიგაზი ასევე ფლობს ავტოგასამართ ქსელ რომპეტროლსა და ბათუმის ნავთობტერმინალს. კომპანიის პოტენციურ მყიდველებს შორის აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია ( სოკარი ) სახელდება. კომპანიის შესხლო გასხვისების შესახებ ინფორმაცია გასულ წელსაც ვრცელდებოდა, თუმცა მაშინ მის შესაძლო მყიდველად, სოკართანძ ერთად, ცნობილი ფეხბურთელი კახი კალაძე სახელდებოდა.

აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება 24 საათმა" გაზგამანაწლებელ კომპანია ყაზტრანსგაზ თბილისში" სცადა. თუმცა კომპანიის წარმომადგენლებისათვის ყაზმუნაიგაზის" დელეგაციის ვიზიტის და კომპანიის მოსალოდნელი გასხვისების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ამ დროისათვის კომპანიას დროებითი მმართველი ჰყავს. ანა თაქთაქიშვილი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მიერ შეირჩა და სასამართლოს გააწყვეტილების საფუძველზე დაინიშნა. ამ პროცედურის განხორციელების მიზეზი კომპანიის დავალიანება გახდა, რომელიც მას ძირითადად გაზის კორპორაციის წინაშე დაუგროვდა. კომპანიას 80 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის კრედიტორული დავალიანება ერიცხებოდა, მათ შორის 68 მილიონი ლარი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წინაშე მართებდა.

ყაზტრანსგაზ-თბილისი" არ ახმაურებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ამ დროისთვის რა ოდენობის კრედიტორული დავალიანება აქვს დაფარული. ზუსტი რიცხვის დასახელებისაგან ამ ეტაპზე კომპანია თავს იკავებს, თუმცა განმარტავენ, რომ დავალიანებას დადგენილი გრაფიკის მიხედვით ფარავენ.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაზეთ „24“ საათის 2009 წლის 26 მაისის 115 ნომერში გამოქვეყნებული იქნა, ქ. გარდაბანი თბილისის დასახლება I კვ. I კორ. მიმდებარედ 370 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით პრივატიზება, ზემოაღნიშნული პრივატიზების ობიექტი მდებარეობს სნგკ-ს კუთვნილი 700 მმ დიამეტრი „ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენებიდან“ სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრულ მინიმალურ დასაშვებ მანძილზე ახლოს. შესაბამისად აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი პირობა:

- „მინიმალური მანძილები მაგისტრალური გაზსადენების, ნავთობსადენებისა და ნავთობპროდუქტებსადენებისათვის დასახლებულ პუნქტებამდე და შენობა-ნაგებობამდე“

| № | ობიექტები, შენობები, ნაგებობები | გაზსადენის კლასი და პირობითი დიამეტრი, მმ | | | | | | | ნავთობსადენის ან პროდუქტსადენის კლასი და პირობითი დიამეტრი, მმ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | | | | | II | | I | II | III | IV |
| | | 300 და ნაკლები | 300-ზე მეტი 600-მდე | 600-ზე მეტი 800-მდე | 800-ზე მეტი 1000-მდე | 1000-ზე მეტი 1200-მდე | 300 და ნაკლები | 300-ზე მეტი | 300 და ნაკლები | 300-ზე მეტი 500-მდე | 500-ზე მეტი 1000-მდე | 1000-ზე მეტი 1400-მდე |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | ქალაქები და სხვა დასახლებული პუნქტები; კოლექტიური ბაღები სახლებით, საგარაკო დასახლებები; ცალკეულ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები; სასათბურე კომბინატები და მეურნეობები; მეფრინველეობის ფაბრიკები; რძის ფაბრიკები; რძის ქარხნები; სასარგებლო წიაღისეულის დასამუშავებელი კარიერები; ინდივიდუალურ მფლობელთა 20-ზე მეტი ავტომანქანებისათვის ღია სადგომი და გარაჟები; ხალხთა მასობრივი თავშეყრის ცალკე მდგომი შენობები; ( სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები, საბავშვო ბაგა-ბაღები, და ა.შ.); სამი და მეტსართულიანი საცხოვრებელი სახლები; რკინიგზის სადგურები; საზღვაო და სამდინარო სანაოსნო; ჰიდროელექტრო-სადგურები; I-IV კლასის საზღვაო ტრანსპორტის ჰიდროტექნიკური ნაგებობები; გამწმენდი მოწყობილობები და წყალსადენის სატუმბი სადგურები, რკინიგზისა და I და II კატეგორიის საავტომობილო გზის 20 მეტრზე მეტი მალის სიდიდის ხიდები; 1000 მეტრ კუბზე მეტი მოცულობის ადვილადაალებადი საწვავი სითხისა და გაზის შესანახი საწყობები; ავტოგასამართი სადგურები; მრავალ არხიანი სარელეო ხაზების , მისადენების ტექნოლოგიური კავშირის დანადგარები და ანძები (კოშკები); სხვა უწყების კავშირგაბმულობის დანადგარები და ანძები (კოშკები) | 100 | 150 | 200 | 250 | 300 | 75 | 125 | 75 | 100 | 150 | 200 |
| 2 | საერთო ქსელის რკინიგზები (გადასარბენებზე) და I-III კატეგორიების საავტომობილო გზები, რომელთა პარალელურად განლაგებულია გაზსადენი; ცალკე მდგომი: ერთ და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები; საბაღე სახლები, აგარაკები; სახაზო შემომვლელების სახლები; სასაფლაოები; სასოფლო-სამეურნეო ფერმები და საქონლის ორგანიზებულად ძოვებისათვის შემოღობილი უბნები; საველე ბანაკები. | 75 | 125 | 150 | 200 | 250 | 75 | 100 | 50 | 50 | 75 | 100 |

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) აცხადებს ღია აუქციონს სს „ზუგდიდის ქაღალდი“-ს ს/ნ 219993595 (მდებარე: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №1 ) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ზუგდიდის ქაღალდი“-ს შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | საინჟინრო ტექნიკური კორპუსი | 13მX47მ | | 5000 |
| 2 | მთავარი კანტორა | (72.50მX13.70მ)X2+(20მX13.70მ)X3 | | 786000 |
| 3 | საგასაშვებო ბიურო | 12.50მX6.50მ | | 5000 |
| 4 | ტექნიკური სამშენებლო მასალების საწყობი | 95.6მX12.30მ | | 22000 |
| 5 | მატერიალური მარაგების საწყობი №1 | 74.20მX13მ | | 17500 |
| 6 | მატერიალური მარაგების საწყობი №2 | 75მX15.60მ | | 15000 |
| 7 | ანგარი (მეტალის კონსტრუქცია) | 36მX15.60მ | | 35000 |
| 8 | ტერიტორიის ღობე | 1 გრძ.მ | 200 | |
| 9 | რკინის რეზერვუარი 400 $მ^3$ | 1ც | | 1500 |
| 10 | რკინის რეზერვუარი 200 $მ^3$ | 1ც | | 1200 |
| 11 | ცისტერნა 25 $მ^3$ | 2ც | 300 | 600 |
| 12 | საწვავსაცხები საწყობი | 3მX3მ | | 200 |
| 13 | საწვავსაცხები საწყობის ბეტონის ღობე | | | 6000 |
| 14 | წითელი ხის კარადა | 2ც | 100 | 200 |
| 15 | საკიდი წითელი ხის | 1ც | | 30 |
| 16 | სარკე წითელი ხის | 1ც | | 50 |
| 17 | კონდიციონერი | 21ც | | 2500 |
| 18 | სეიფი | 6ც | | 500 |
| 19 | ქსეროქსის აპარატი | 1ც | | 800 |
| 20 | მაცივარი | 3ც | | 350 |
| 21 | კაბინეტის კომპლექტი | 3ც | | 400 |
| 22 | სათათბირო მაგიდა | 6ც | | 400 |
| 23 | საწერი მაგიდა | 48ც | 15 | 1200 |
| 24 | მაგიდის მისადგმელი | 5ც | 60 | 300 |
| 25 | ჟურნალის მაგიდა | 2ც | 50 | 100 |
| 26 | მისაღების მაგიდა რკინის | 3ც | 50 | 150 |
| 27 | საბეჭდი მანქანის მაგიდა | 4ც | 25 | 100 |
| 28 | კარადა | 19ც | | 800 |
| 29 | თარო | 11 | | 60 |
| 30 | სავარძელი | 23ც | | 550 |
| 31 | რბილი სკამი რკინის ფეხით | 27ც | | 350 |
| 32 | სკამი | 56ც | 5 | 280 |
| 33 | სტელაჟი ხელით გასამართი | 1ც | | 20 |
| 34 | პირველი რიგის გამწმენდი ნაგებობა | 37.15X12.50 | | 8000 |
| 35 | პირველი რიგის გამწმენდი ნაგებობა | 12.40X18.45 | | 4000 |
| 36 | ა/მ „გაზ-3102“ | 1984 | | 2000 |
| 37 | კოშკურა ამწე (ჩეხური წარმოების) | | | 15000 |
| | სულ ჯამი | | | 933140 |

ქონების საერთო ღირებულებაა: 933140 (ცხრაასოცდაცამეტიათასასორმოცი) ლარი.

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №1.

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 12 აგვისტოს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №87, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ზუგდიდის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302006000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.

# ადამიანებით ვაჭრობა

## აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის ანგარიშის შესახებ

*ჯონ ფ. ტეფტი*
*საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი*

*"სამწუხაროდ აქ, ჩვენს ქვეყანაში, ათასობით ადამიანია მოტყუებით ჩაბმული სხვადასხვა ტიპის მონურ საქმიანობაში..." - აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა.*


ჯონ ტეფტი

ბევრი ადამიანისთვის მონობა წარსულის გადმონაშთია. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში მონობის თანამედროვე ფორმების არსებობის აღიარებით პრეზიდენტმა ობამამ შეგვახსენა, რომ არც ერთი ქვეყანა, მათ შორის არც აშშ და არც საქართველო, არ არის დაზღვეული ადამიანებით ვაჭრობისაგან. ტრეფიკინგის მსხვერპლნი, როგორც წესი, საზოგადოების ყველაზე სუსტი წევრები ხდებიან. ბორდელებში, ქარხნებსა და მინდვრებში იძულებით სამუშაოში ჩაბმული ადამიანი ცუდი მოპყრობისა და ექსპლუატაციის ობიექტი ხდება. ადამიანებით მოვაჭრეები ჩნდებიან იქ, სადაც ხალხი გაწამებულია სიღარიბისა და კონფლიქტებისაგან, აგრეთვე იქ, სადაც კანონის უზენაესობა მოისუსტებს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა, ხმა მიეწვდინა მსოფლიოს საზოგადოებისათვის, რომ არსებობს ადამიანებით ვაჭრობის გლობალური პრობლემა. დაახლოებით, 150 წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში აიკრძალა მონობა და იძულებითი შრომა. ამერიკის კონგრესმა მიიღო დადგენილება, რომელმაც ხალხს დაუკანონა ერთ-ერთი უმთავრესი სამოქალაქო უფლება - თავისუფლების უფლება. 2000 წელს ამერიკულ კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომელმაც უფრო ამომწურავად განმარტა იძულებითი შრომის ცნება. აშშ-ს კანონმდებლობის მსგავსად, გაერო-ს ოქმში "ადამიანებით ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთისა და მოვაჭრეების, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით მოვაჭრეების, დასჯის შესახებ," ვკითხულობთ, რომ ტრეფიკინგთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიის შექმნისათვის მსხვერპლთა დაცვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნა.

საქართველოს მთავრობა მუშაობს მსხვერპლთა დაცვისა და მოვაჭრეების სისხლის სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. გასული წლის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვერპლთა დაცვაზე გამოყოფილი დაფინანსება, რამაც 250 000 აშშ დოლარი შეადგინა. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა იმ მსხვერპლთა რიცხვი, რომელთაც მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამების მეშვეობით გაეწიათ დახმარება. გარდა ამისა, მთავრობამ გამოყო 150 000 აშშ დოლარი ტრეფიკინგის მსხვერპლთა ორი თავშესაფრის ასაშენებლად, სადაც დაზარალებულებს უტარდებათ სამედიცინო დახმარება, აგრეთვე ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაცია. საქართველოს კანონით "ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ" აკრძალულია ადამიანებით ვაჭრობის ყველანაირი ფორმა. 2008 წლის განმავლობაში ტრეფიკინგის დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს საშუალოდ 14-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ცოტა ხნის წინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გამოაქვეყნა მეცხრე ყოველწლიური ანგარიში ადამიანებით ვაჭრობის შესახებ. საქართველოს მიერ ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შედეგად, უკვე მესამე წელია, ის 1-ელ კალათშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა მთლიანად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრისათვის დაწესებულ მინიმალურ სტანდარტებს. ეს ანგარიში არ არის მხოლოდ შეფასება. ის არის მოწოდება შემდგომი მოქმედებისკენ. ამერიკის შეერთებული შტატები იმ ქვეყნების ერთგული პარტნიორი იქნება, რომლებიც გამოეხმაურებიან ამ მოწოდებას და ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში უფრო მეტ წვლილს შეიტანენ.

მსხვერპლთა დახმარებისა და დამნაშავეთა დასჯის ყველაზე ეფექტური მეთოდები დაფუძნებულია ტრეფიკინგს გადარჩენილთა გამოცდილებაზე. მათ თავს გადახდენილი ამბები აძლიერებს აშშ-ს მთავრობის ძალისხმევას, რომელიც მიმართულია კაცების, ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის პრევენციისკენ. ჩვენი ვალია, მსგავსი ამბები ვერავინ მიჩქმალოს.

ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება თხუთმეტი წლის გოგონას სიტყვები. მის საქმეს ამერიკის შეერთებულ შტატებში იძიებდნენ. გოგონამ მოსამართლეს უთხრა:

"ძალიან შემეშინდა. ვცდილობდი, ისე დავმალულიყავი, რომ მათ ვერ ვეპოვეთ. უფროსებმა მითხრეს, რომ მე უნდა მემუშავა და ჭკვიანად მოვქცეულიყავი. მათ ზოგი სხვა გოგონა გააუპატიურეს. შემეშინდა, რომ მეც გამაუპატიურებდნენ ან სხვაგვარად დამიშავებდნენ რამეს. მე იქ არავის ვიცნობდი. მე სრულიად მარტო ვიყავი."

მსოფლიოში უთვალავია ადამიანი, რომელიც ამ გოგოს მსგავსად, ჩუმად იტანჯება. ისინი მახეში გაბმულებად და მარტოსულად გრძნობენ თავს. მათთვის პოლიცია ხშირად შიშთან ასოცირდება და არა გათავისუფლების იმედთან. ამ ადამიანებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციები უსაფრთხო ნავსაყუდელია, თუმცა მათ ასეთ ორგანიზაციებამდე მიღწევის საშუალება იშვიათად ეძლევათ. ტრეფიკინგის მსხვერპლთა გზა ნორმალური ცხოვრებისაკენ მაშინ იწყება, როდესაც ისინი ხვდებიან, რომ მარტონი არ არიან და მათზე ვიღაც ზრუნავს და რომ დამნაშავეებს სასჯელი არ ასცდებათ.

სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა გარკვევით განაცხადა, რომ აშშ მზად არის, თანადგომა აღმოუჩინოს მეძაობაში იძულებით ჩართულ გოგონას, ჯარში უკანონოდ გაწვეულ თუ ქუჩაში სამათხოვროდ იძულებით გასულ ბიჭს, სახლში გამოკეტილ მონასა და მინდვრებში იძულებით მომუშავე გატანჯულ ადამიანებს. ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, ითანამშრომლოს გულმოდგინე მთავრობებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან, რათა მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული რესურსები და კოლექტიური გამოცდილება მონობის უღელქვეშ მყოფი ადამიანების დასახსნელად. მათი მუდარა აღარ შეიძლება, უყურადღებოდ დარჩეს. მათი გასაჭირი დაუყოვნებელ და ეფექტურ მოქმედებას ითხოვს.

AIR
საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია

**მასტერ–კლასები დიპლომატიის ხელოვნებაში**

**ბათუმი, საქართველო**

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია გიწვევთ სასწავლო პროგრამაში: "დიპლომატიის ხელოვნება." პროგრამა გათვალისწინებულია საერთაშორისო პოლიტიკით და დიპლომატიის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის, რომელთაც სურთ მიიღონ დამატებითი განათლება და ტრენინგი დიპლომატიის საკითხებში. სასწავლო პროგრამა მოიცავს თეორიულ (სალექციო) და პრაქტიკულ (საწვრთნელ) მოდულებს. პროგრამის განმავლობაში სტუდენტები მიიღებენ თეორიულ განათლებას დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში და გაივლიან ინტენსიულ ტრენინგს პოლიტიკური დებატების, არგუმენტაციის, ლოგიკური მსჯელობის, რიტორიკისა და დისკუსიის, საჯარო გამოსვლების ეფექტურად წარმართვის საკითხებში.

- მასტერ–კლასები გაიმართება ბათუმში და დაგეგმილია იმდაგვარად, რომ მონაწილეებს დასვენებისა და სწავლების სინთეზის შესაძლებლობა მისცეს. საზაფხულო შეკრების ხანგრძლივობა ათი დღეა, ხოლო ლექციები და ტრენინგ–სესიები მოეწყობა 13:00 – 19:00 საათებში.
- პროგრამის ღირებულებაა 1300 ლარი, ხოლო მათთვის, ვინც ამჯობინებს საკუთარი ხარჯებით აანაზღაუროს მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები - 1000 ლარი.
- სწავლების ღირებულება მოიცავს სასწავლო მასალებს, მგზავრობის, სასტუმროში ცხოვრებისა და კვების ხარჯებს
- სასწავლო პროგრამა დაიწყება 17 და დასრულდება 27 აგვისტოს.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული აპლიკაცია: (ჩამოტვირთეთ აქ: http://bmu.li/st4 ან ესტუმრეთ ვებსაიტს: www.air.org.ge ). http://spreadsheets.google.com/viewform?hl=en&formkey=cFdNM05XTV8wYWxBRjJpQmViNnZzSnc6MA..არა უგვიანეს 31 ივლისისა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვწერეთ:

- ელ.ფოსტა: training@air.org.ge
- სრული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ: www.air.org.ge

# დიდი რვიანის" სამიტის მეორე დღე

პირველი გვერდიდან

შეხვედრებზე ეკონომიკური ზრდის წყაროები, ჰაილიგენდამის პროცესის გაგრძელების პერსპექტივები და მისი განვითარების ფორმები განიხილეს.

სახელმწიფოების ლიდერებმა იმსჯელეს მნიშვნელოვან საფრთხეებზეც, მათ შორის გლობალურ დათბობაზე. კონკრეტულად კი ატმოსფეროში CO2-ის ანუ ოზონის გავრცელებაზე. კრიზისი ამ პროცესს მხოლოდ ხელს შუწყობს, რადგან წარმოების გაზრდა ავტომატურად გულისხმობს საშიშ ნივთიერებათა გამოყოფის ზრდასაც, რაც ეკოლოგიური გარემოსთვის სერიოზული ზიანის მომტანია.

შეხვედრების მთავარი თემა მაინც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეფორმირება, მათი ადაპტაცია ცვალებად რეალიებთან, სარეზერვო ვალუტის მომავალი და ეკონომიკის სტატისტიკური სტანდარტების უნიფიკაცია იყო. ამ პრობლემების განხილვა საქმიან სადილზეც გაგრძელდა, რომელსაც სამიტის მონაწილე ქვეყნების ლიდერების გარდა, უმსხვილესი ფინანსური და ეკონომიკური ორგანიზაციების - გაერო-ს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

პირველი სამუშაო სხდომისა და სადილი შემდეგ, სამიტის მონაწილეები ახალგაზრდული რვიანის" წარმომადგენლებსაც შეხვდნენ და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მათი აზრი მოისმინეს.

სალამოს სხდომაზე მოლაპარაკებები წამყვანი ეკონომიკების ფორუმის" ფარგლებში, 8+5+3 ფორმატით გაიმართა. შეხვედრაზე, რომლის 13 მონაწილესაც ავსტრალიის, ინდონეზიისა და კორეის რესპუბლიკის ლიდერები შეუერთდნენ და რომელსაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, ვაჭრობასა და კლიმატის პრობლემებზე იმსჯელეს. კლიმატის საკითხის განხილვაში გაერო-მ და დანიამაც მიიღეს მონაწილეობა, როგორც კლიმატის გლობალური ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ფორუმის ორგანიზატორებმა. ფორუმი მიმდინარე წლის დეკემბერში, კოპენჰაგენში გაიმართება.



*ბარაკ ობამას ინიციატივით, მომავალ წელს, ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე შეხვედრა გაიმართება*

განვითარებული ქვეყნები გეგმავენ, რომ 2050 წლისთვის ნახშირმჟავას შემცველი გაზების ატმოსფეროში გავრცელება 80 პროცენტით შეამცირონ, რაც, თავის მხრივ, მსოფლიოში ოზონის გავრცელების საერთო მოცულობის ორჯერ შემცირებას განაპირობებს. დიდი რვიანის" ლიდერების მიზანია, არ დაუშვან, უახლოესი 40 წლის განმავლობაში გლობალური დათობა 2 გრადუს ცელსიუსზე მეტით მოხდეს. თუმცა რვიანი" არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება ამის მიღწევა და რა თანხა დაიხარჯება. გარდა ამისა, გათვლებში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ინდოეთისა და ჩინეთის პოზიციებიც. სწორედ ამ ქვეყნების წარმოების სწრაფი ზრდა წარმოადგენს ატმოსფეროში ნარჩენების გამოყოფის ერთ-ერთ მთავარ წყაროს.

სამიტზე ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა გამოვიდა ინიციატივით, რომ მომავალი წლის მარტში, ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო შეხვედრა გაიმართოს, რომელსაც დიდი რვიანის" სამიტის მსგავსად, ქვეყნების პრეზიდენტები და მთავრობის მეთაურები დაესწრებიან.

განვითარებული ქვეყნების ლიდერებმა ამერიკელი პრეზიდენტის ინიციატივას მხარი დაუჭირეს. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში ობამას მოადგილის თანაშემწემ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მარკ ლიპერტმა განაცხადა.

მისი თქმით, ამერიკის სახემწიფოს მეთაურმა შეხვედრის იდეა კოლეგებს საქმიანი ვახშმის დროს გააცნო. ლიპერტის განცხადებით, ობამამ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ამერიკისთვის ყველაზე სერიოზული საფრთხე ამჟამად მსოფლიოში ისეთი ფენომენის გაჩენაა, როგორიც ბირთვული ტერორიზმია.

ვაშინგტონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, მისი აზრით, მომავალ შეხვედრაზე ბირთვული იარაღის შავი ბაზრების" ლიკვიდაციის, მათი გადაზიდვების აღმოჩენის და სამართალდამცველი ორგანიზაციების მიერ დაკავების გზების მოძებნა იქნება აუცილებელი.

ლიპერტის განცხადებით რვიანმა" ობამას ინიციატივას მხარი დაუჭირა და ამერიკის პრეზიდენტი 25-30 ქვეყნის ლიდერებს შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად პირად მოწვევას მომავალ კვირას გაუგზავნის.

თეთრი სახლის სხვა წარმომადგენლების ცნობით, დიდი რვიანის" წევრმა ქვეყნებმა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მოუწოდეს, შეინარჩუნონ მორატორიუმი ბირთვული იარაღის გამოცდის შესახებ.

ამავე დროს კი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განაცხადა, რომ მსოფლიო ეკონომიკამ რეცესიიდან გამოსვლა დაიწყო. თუმცა ფონდის წარმომადგენლებმა ისიც დაამატეს, რომ ეს პროცესი არათანმიმდევრული და ნელი იქნება.

მსოფლიო სავალუტო ფონდის ექსპერტების განცხადებით, ბანკები და ფინანსური ბაზრები პრობლემებს ძველებურად განიცდიან. გარდა ამისა, ორგანიზაციის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის გაგრძელება მხოლოდ 2010 წლის მეორე ნახევარში იქნება შესაძლებელი.

დიდი რვიანის" სამიტი იტალიაში, ქალაქ აკვილაში მიმდინარეობს, სადაც აპრილში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა.

ღონისძიების დაწყების პირველ დღეს აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებმა ბარაკ ობამამ და დმიტრი მედვედევმა, მასპინძელ სილვიო ბერლუსკონისთან ერთად, აკვილას ცენტრალური უბნები და ადგილობრივი უნივერსიტეტი მოინახულეს.

გარდა ამისა, პირველივე დღეს გაფორმდა ისეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებებიც, როგორებიცაა დეკლარაცია ირანის საკითხზე, განცხადება ბირთული იარაღის არგავრცელების შესახებ და დოკუმენტი ტერორიზმთან ბრძოლის თაობაზე. სამიტის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს რუსეთსა და ამერიკას შორის სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შემცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების გეგმას. დოკუმენტს ხელი მიმდინარე წლის დეკემბრამდე უნდა მოეწეროს.

სამიტის დაწყების წინ მწვავედ წამოიჭრა საკითხი, რამდენად არის მიზანშეწონილი მასში მასპინძელი ქვეყნის მონაწილეობა. იტალიას ღონისძიების ცუდად ორგანიზებისა და საერთაშორისო დახმარების შესახებ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აკრიტიკებენ, რასაც შესაძლოა დიდი რვიანიდან" მისი გარიცხვა მოჰყვეს.

# უმაროვის თავდაცვის მინისტრი დააკავეს

ივა შილაკაძე

ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ოფიციალური ხელისუფლება ცდილობს, საპასუხო დარტყმები მიაყენოს ამ ბოლო დროს გააქტიურებულ შეიარაღებული იატაკქვეშეთის დაჯგუფებებს. ინგუშეთის სუნჟენის რაიონში, ჩეჩნეთის საზღვართან, გრძელდება ორი რესპუბლიკის სამართალდამცველების სპეცოპერაცია, რომლის მიზანია ალყაში მყოფი შეიარაღებული დაჯგუფების ლიკვიდაცია. ეს ის ჯგუფია, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ჩეჩენი მილიციელების ავტოკოლონა დაცხრილა. მაშინ დაიღუპა 9 და დაიჭრა 10 სამართალდამცველი. ინგუშეთის და ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა ორგანოები აცხადებენ, რომ მათ უკვე მოახერხეს 4 ბოევიკის ლიკვიდირება და კიდევ რამდენიმე მათგანის დაჭრა. მთლიანად ჯგუფი, მათი შეფასებით, დაახლოებით 20 კაცისგან შედგება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის ცნობაა, რომ ამ სპეცოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა შეიარაღებული იატაკქვეშეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დააკავეს.

ინგუშეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსეი ვორობიოვმა განაცხადა, რომ დაკავებულია რუსტამ მახაური, მეტსახელად "დათვი", რომელიც ერთ-ერთ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა. ვორობიოვის აზრით, მახაური შეიძლება იყოს ინგუშეთის პრეზიდენტ ევკუროვზე განხორციელებული თავდასხმის მონაწილე. ვორობიოვის თქმით, ასეთი ეჭვი არსებობს და გამომძიებლები ამის გასარკვევად მუშაობენ. ვორობიოვი ფიქრობს, რომ მახაურის ჩვენებები სიცხადეს შეიტანს ამ თავხედური დანაშაულის გამოძიებაში. ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსლან ალხანოვმა განაცხადა, რომ ეს ბოევიკი კავკასიის იმარატის ხელმძღვანელობაში შედის, რომლის შექმნის შესახებაც დოკუ უმაროვმა გამოაცხადა. ალხანოვის სიტყვებით, "რუსტამ მახაური კავკასიის იმარატის ეგრეთ წოდებული თავდაცვის მინისტრია."

ალხანოვმა დასძინა, რომ სპეცოპერაცია გრძელდება და აჩხოი-მარტანის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ავტოკოლონაზე თავდამსხმელებს ლიკვიდაცია ელით. ინგუშეთის შს სამინისტროს პრესმდივანმა მადინა ხადზიევამ განაცხადა, რომ ამჟამად ცდილობენ ლიკვიდირებული 4 ბოევიკის ვინაობის დადგენას. სპეცოპერაცია ცხელ კვალზე კვირას დაიწყო და სამშაბათის სალამოდან ბოევიკებთან უკვე ბრძოლები მიმდინარეობს. სამართალდამცველთა მხრიდან დაიღუპა ერთი, ხოლო დაჭრილია შვიდი ადამიანი.

ამ თემაზე საუბრისას რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რაშიდ ნურგალიევმა განაცხადა, რომ ინგუშეთში არიან სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებული პირები, რომლებსაც ევკუროვზე თავდასხმასთან კავშირშიც ამოწმებენ. საინტერესოა, რომ ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსლან ალხანოვმა გუშინ მეზობელ ინგუშეთში პრეზიდენტზე თავდასხმის ორგანიზატორის ვინაობა დაასახელა. მისი სიტყვებით, ტერაქტი მოამზადა და ჩაატარა ერთ-ერთი დაჯგუფების ხელმძღვანელმა მაგომედ ევლოევმა, მეტსახელად "მაგასმა". თუმცა ამ პიროვნებას ექსტრემისტების საიტები ხან ახმადს ხანაც ახმედს უწოდებენ. ალხანოვის სიტყვებით, ევლოევი პირადად ხელმძღვანელობდა ოპერაციას და ტერორისტ თვითმკვლელად მოკლული ბოევიკის ცოლი გამოიყენა (?!). ჩეჩნეთის შს მინისტრს ინფორმაციის წყარო არ დაუსახელებია. გასაგებია, რომ ძიება მაინცდამაინც წინ არ წასულა და ისიც სავარაუდოა, რომ ამ პროცესში, ალბათ, ტერორისტთა ყურადღების მოსადუნებლად, სხვადასხვა ინფორმაციის სანქცირებული გაჟონვა ხდება, მაგრამ კვირაში ერთხელ ტერორისტი თვითმკვლელის სქესის ცვლა, მით უმეტეს, როსტოვის ლაბორატორიის წინასწარი დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, ალბათ უკვე მეტისმეტია.

უკანასკნელი მონაცემებით, თვითონ იუნუს-ბეკ ევკუროვის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელსაც მოსკოვში მკურნალობენ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, იგი გონს მოვიდა. მისი მოვალეობის დროებით შემსრულებლის, მთავრობის თავმჯდომარე რაშიდ გაისანოვის სიტყვებით, ექიმები ალბათ ორი კვირის შემდეგ თანამშრომლებს მასთან ურთიერთობის უფლებასაც მისცემენ.

გაისანოვმა კიდევ ერთხელ უარყო ინგუშეთის და ჩეჩნეთის გაერთიანების შესახებ გავრცელებული ხმები და განაცხდა, რომ ინგუშეთის ადმინისტრაცია დამოუკიდებლად აკონტროლებს ვითარებას. ექსპერტები ადრე გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ შესაძლო იყო, კრემლს ინგუშეთში პირდაპირი ფედერალური მართვის შემოღებაც განეხილა, თუმცა, ამაზე დღეს აღარავინ ლაპარაკობს. სიტუაცია ბოლო პერიოდში ჩეჩნეთშიც დაიძაბა. იქ სამხედრო ვერტმფრენებს ესროლეს. მათ იძულებით მოუწიათ მიწაზე დაჯდომა. ერთი მესაზღვრე დაიჭრა.

# თურქეთში სამხედრო ტრიბუნალის უფლებამოსილება იზღუდება

ევროკავშირის წევრობის მოსურნე თურქეთმა ევროკავშირის ერთ-ერთი პირობა დააკმაყოფილა და სამხედრო ტრიბუნალების უფლებამოსილება შეზღუდა. თუმცა, რამდენად დაეხმარება ეს ნაბიჯი ოფიციალურ ანკარას ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, რთული სათქმელია. "ევრონიუსის" თანახმად, შესაბამის კანონს, რომელიც ივნისში თურქეთის პარლამენტმა მიიღო, ქვეყნის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა ოთხშაბათს მოაწერა ხელი.

ახალი კანონის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს მშვიდობიან პერიოდში სამოქალაქო სასამართლო გაასამართლებს, ხოლო სამოქალაქო პირების წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს სამხედრო ტრიბუნალები საერთოდ აღარ განიხილავენ.

თურქეთის შეიარაღებული ძალების სარდლობაში მიაჩნიათ, რომ ახალ მიღებული კანონი ქვეყნის კონსტიტუციის 145-ე მუხლს ეწინააღმდეგება, რომელშიც აღწერილია სამხედრო ტრიბუნალების იურისდიქცია. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ასეთივე უკმაყოფილება გამოთქვა დემოკრატიულმა ოპოზიციამ და საკონსტიტუციო სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას.

თურქეთის არმია სამოქალაქო წყობისა და სახელმწიფოს დემოკრატიული პრინციპებით მოწყობის სადარაჯოზე დგას. ახალი კანონის მიღება მხოლოდ ე.წ. "ერგენეკონის საქმის" შემდეგ გახდა შესაძლებელი. ასეთი სახელი თურქეთში მაღალჩინოსანი ოფიცრებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორების წინააღმდეგ მიმართულ პროცესს ეწოდა. თურქეთის პროკურატურამ, რომელსაც ისლამური პარტიები აკონტროლებენ, ისინი ულტრამემარჯვენე გადატრიალების მომზადებაში დაადანაშაულა, რომელიც ერდოგანის მთავრობის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ოპოზიციას კი "ერგენეკონის საქმე" შეთითხნილი ჰგონია.

თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მოლაპარაკებებს 2005 წლის ოქტომბრიდან აწარმოებს ანუ მას შემდეგ, რაც ევროკავშირისა და თურქეთის ლიდერები შეთანხმდნენ კვიპროსის იმ ნაწილის აღიარების კომპრომისულ ვარიანტზე, რომელიც ანკარის კეთილგანწყობით სარგებლობს. თურქეთი მხარს უჭერს ჩრდილოეთ კვიპროსზე თურქი-კვიპროსელების აუღიარებელ რესპუბლიკას, მაგრამ ბრიუსელში მწვავე დებატების შემდეგ დათანხმდა განცხადების გაკეთებას კვიპროსის თურქულ და ბერძნულ ერთობებს შორის ურთიერთობების მოგვარების გეგმაზე. თუმცა, თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოგანის თქმით, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ოფიციალურმა ანკარამ ნიქოზიის მთავრობა აღიარა.

გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შროდერი მიიჩნევდა, რომ კვიპროსის, რომელიც 2004 წლის მაისში გახდა ევროკავშირის წევრი, თურქეთის მხრიდან არაღიარების სურვილი ძირითადი დაბრკოლება იყო ოფიციალური ანკარას ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. გარდა ამისა, დღემდე ევროპელები თურქეთს ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებსა და ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების ნელი ტემპით განვითარებაზეც მიუთითებენ. ვინაიდან თურქეთის შესაძლო წევრობის შესახებ ევროკავშირში დიდი აზრთა სხვადასხვაობაა, გადაწყვეტილების მიღებაც ჭიანურდება. თანაც, ევროკავშირს თურქეთისთვის არც იმის გარანტიის მიცემა შეუძლია, რომ მოლაპარაკებები ოფიციალური ანკარას სასარგებლოდ დამთავრდება.

თურქეთისთვის ევროკავშირის წევრობა, არა მარტო ცხოვრების დონის ამაღლების თვალსაზრისით, არამედ დემოკრატიის გამყარების კუთხითაც არის მომგებიანი. რაც შეეხება ევროკავშირს, იგი თურქეთის წევრად მიღებით საზღვრებს გააფართოებს რუსეთამდე, ირანამდე, ერაყსა და სირიამდე, ახლო აღმოსავლეთი კი მსოფლიოს ყველაზე არასტაბილური რეგიონია. თუმცა, უსაფრთხოებისა და პოლიტიკური მოტივაციების გარდა, მნიშვნელოვან როლს ეკონომიკური ასპექტიც ასრულებს. სკეპტიკოსების აზრით, ღარიბი ქვეყნისთვის, სადაც ამავდროულად მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მუსლიმები შეადგენენ, ევროპის კარის გახსნა ევროკავშირისთვის თავისი ევროპული და ქრისტიანული სახის დე ფაქტო შეცვლას ნიშნავს.




## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.:** 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

## პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.:** 91 31 19; 91 32 42;

# ა ხ ა ლ ი ფ ა ს ე ბ ი !

Bazaleti HOTELS GROUP

## ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
## ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

**დაისვენეთ, გაერთეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!**





ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

კომენტარები მთავარზე



## რუსთაველის გათავისუფლება

ლაშა ბუღაძე

რამდენს ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, თბილისის *თავკომბალურობაზე*, სხვა ქართულ ქალაქთა უფუნქციობაზე, დედაქალაქის ზოგიერთ უბან-რაიონთა *ელიტდაუხვეწაობაზე* (არასისვეტსკეზე ანუ), რუსთაველის პროსპექტიდან და, საერთოდ, ძველი თბილისის ცენტრიდან *პოლიტიკის* განდევნაზე და ა. შ. მაგრამ რეალურად ეს საუბრები საუბრებადვე რჩება, თბილისი კვლავ თავკომბალისებრია, ხოლო რუსთაველი ისევ პოლიტიკოსების მიერაა ოკუპირებული.

მე კი ასეთი რამ მინდა შევთავაზო ჩემი ქვეყნის ამჟამინდელ ხელისუფლებას:

გაათავისუფლეთ თბილისი, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ცენტრი მაინც თქვენი დაწესებულებებისა და კაბინეტებისგან! მერია რომ საბურთალოზე გადავიდა, ეს მომწონს, თუმცა უფრო შორეთშიც გადავისროდი, შეშუშული შინაგან საქმეთა სამინისტროც რომ აეროპორტისკენ *წაიწია*, კარგია ესეც, მაგრამ სხვა რამეებიც ბლომად დარჩა აქეთ... მაგალითად, პარლამენტი.

ხომ არ აჯობებს, პარლამენტი სხვაგან გადავიდეს (მოგვიანებით მოგახსენებთ, სადაც), ხოლო ამ ვეება შენობაში რაიმე ღირსქმნილი სასტუმრო *ჩასახლდეს?* წარმოიდგინეთ, რა მშვენიერი სასტუმრო იქნება! შუაში - ეზოთი (რომელშიც აწ უბრალო ადამიანები არ შეიშვებიან).

ამ დიდ ეზოში კაი კოხტა კაფეებს მიმოვაბნევდი, ბერია-მჟავანაძისეულ მთავრობა-პარლამენტის შიგთავსს რომელიმე *მერიოტული, რედისონული ან კემპინსკული* რემონტ-მენეჯმენტით *გამოვლოცავდი* და სასტუმროებით დახუნძლულ პროსპექტსაც მივიღებდი: აქეთ ტიფლის-მერიოტი, შუაწელში აშენებადი *რაღაც* (მხატვრის სახლის ადგილზე წამოჭიმვადი), მის წინ დიდ სასტუმროდქცეული ახლანდელი პარლამენტი, სულ იქით კი, მოედანზე, ქორთიერდად წოდებული...

მე მგონი, კარგი იდეაა. რას იტყვით?

პარლამენტი წაიღე(ვი)თ ქალაქგარეთ, ანაც, კიდევ უკეთესი, ქუთაისში გადაიტანეთ, გორში, ან ზუგდიდში! ჯერ ერთი, ფუნქცია მიენიჭება ამ ქალაქ-რეგიონებს და მეორეც, პროცენტულად ბევრად უფრო მეტს შეეზარება დეპუტატობა... განა არ იცით, რა ჰედონისტებიც გვყავს ქალაქურ პოლიტიკაში! არ ვხუმრობ, ასე იქნება, დარწმუნებული ვარ. ერთი იურისტი მეუბნებოდა ამას წინათ, ვიდრე თბილისში იყო საკონსტიტუციო სასამართლო, ლეიბორისტებს ყოველდღე შექონდათ საჩივარი, ახლა კი, რაც ბათუმში გადაიტანეს, იქით გახედვაც კი ეზარებათო.

გორი და ზუგდიდი კი იმიტომ მომწონს საპარლამენტო ალაგად, რომ ერთთან ცხინვალია ახლო, მეორესთან კი აფხაზეთი... გაიხსენეთ, სად არის ებრაელთა ქნესეთი? შუა იერუსალიმში! *წითელ ხაზებს* შორის, იმათებურ ბუფერულ ზონებში! სიმბოლურიც არის, მესიჯისებრიც და მართებულ-საქმიანიც შესაბამისად!

გაიტანეეთ... სამინისტროები ქალაქგარეთ, ყოფილ ბორის ძნელაძეში, მაგალითად! გარკვეული ნაწილი მაინც...

აწინდელი პარლამენტის სასტუმროდქცევა კი, ვიმეორებ, *ჭკუაში დაიჯინე(ვი)თ!*

დროზე ჰქენით, თორემ ის დემონსტრანტი ხალხი თავის საკნებში დაიწყებს სასტუმროების გახსნას.

უკვე ყველა ხვდება, რომ ეგ ადგილი შემოსავლიანია.

# ბათუმის იასამნისფერი საღამოები

### "შავი ზღვის ჯაზფესტივალი" დაუვიწყარ კონცერტებს გვპირდება

ია ვეკუა

სულ ცოტა დრო რჩება იმ დღემდე, როდესაც "შავი ზღვის ჯაზფესტივალის" რიტმები ბათუმის ბულვარს ვირუსივით მოედება და მუსიკალურ "დაავადებას" მომავალი წლის ზაფხულამდე გაავრცელებს. ტრადიციულად წლევანდელი ფესტივალის აფიშაც არა ერთი ვარსკვლავის ჩამოსვლის შესახებ გვაუწყებს: ფლორა პურიმი და აირტო მორეირა, Naturally 7 და რაღა თქმა უნდა მასეო პარკერი, რომელიც უდაოდ იქცევა ფესტივალის მთავარ ჰედლაინერად. ანუ კომპანია "ისტერნ პრომოუშენის" მორიგი საჩუქარი ჯაზის მოყვარულთათვის შედგა, უფრო სწორედ შედგება - 19-20 ივლისს კლუბ "ტარაბუაში". ამ საჩუქრის საუკეთესოდ შეფუთვის თანამონაწილეები კი ცხადია ფესტივალის სპონსორები და თანაორგანიზატორები არიან.




"შავი ზღვის ჯაზფესტივალი" არ არის მხოლოდ მუსიკის ამ კონკრეტული მიმდინარეობის მოყვარულთათვის ჩაფიქრებული და განხორციელებული კულტურული მოვლენა. მას მეორე, გაცილებით გლობალური მხარეც აქვს - ეს არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სეგმენტის, ტურისტული ბიზნესის განვითარების ნაწილი. ამის დასტურად აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ, მათე ტაკიძის ნათქვამსაც მოვიშველიებთ. მისი თქმით სპეციალურად ფესტივალზე დასასწრებად თურქეთიდან ჯაზის მოყვარულთა ჯგუფი ჩამოდის, ასევე ელიან ტურისტებს სხვა ახლო მდებარე ქვეყნებიდანაც. ამას ემატება საქართველოს მოქალაქეებიც, რომლებიც ხშირად საშვებულებო ვადებს სპეციალურად ფესტივალისთვის ცვლიან.

ერთი სიტყვით, ფესტივალი შედგა და მალე ალბათ ისეთივე დონის ტრადიციად იქცევა, როგორიც თბილისის ჯაზფესტივალია. სწორედ ამიტომაც მის ორგანიზებასა და დაფინანსებაში აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო ბიზნესიც. წელს "შავი ზღვის ჯაზფესტივალის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანაორგანიზატორია საქართველო კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც ფესტივალს მძლავრ ფინასურ მხარდაჭერასაც უწევს.

**ნიკოლოზ რურუა, საქართველო კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი:** "ბათუმის ჯაზფესტივალი არა მხოლოდ ჯაზის მოყვარულთათვისაა უდიდესი ზეიმი, არამედ ქვეყნის პოპულარიზაციისა და მსოფლიოსთვის გაცნობითვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. უცხოელი მუსიკოსები, რომლებიც ჩამოდიან და რამდენიმე დღეს საქართველოში ატარებენ, ხედავენ, რომ ჩვენი ქვეყანა ყველა მიმართულებით ვითარდება, მისი კარი ღიაა ხელოვნების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის, ხედავენ იმასაც, თუ რამდენად მაღალი გემოვნების მსმენელია საქართველოში. ცხადია, ამ შთაბეჭდილებებს ჩვენი სტუმრები თავიანთ კოლეგებსაც უზიარებენ და საქართველო მათთვისაც საინტერესო ხდება. დარწმუნებული ვარ, "შავი ზღვის ჯაზფესტივალი" უახლოეს მომავალში ისევე ნიშვნელოვანი გახდება, როგორც მაგალითად ცნობილი North Sea Jazz Festival-ია, რისთვისაც ყველაფერი უნდა გაკეთდეს. ქვეყნის პოპულარიზაციის გარდა მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების როლი ქვეყნის ტურისტური ბიზნესის განვითარებაში. შარშან აჭარაში იმაზე მეტი დამსვენებელი იყო, ვიდრე შარშანწინ, წელს კი უფრო მეტს ელიან. მათ შორის, ცხადია, უცხოელი ტურისტებიც არიან. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ბათუმის, ისევე როგორც თბილისი ჯაზ ფესტივალს, მძლავრი ხელშეწყობა სჭირდება და მის გამართვას ხელი არც ეკონომიკურმა კრიზისმა უნდა შეუშალოს და არც სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა."

ტურისტული სეზონი აჭარაში თითქმის უკვე დაწყებულია: შავი ზღვა, ბათუმის მზე და მასპინძელი აჭარლები ყველანაირად მზად არიან დამსვენებლებს საუკეთესო პირობები შეუქმნან. ამ უკანასკნელთათვის წლევანდელ ზაფხულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შარშან აგვისტოს ომის გამო ტურისტული სეზონი ვერ შედგა, არადა ადგილობრივი მოსახლეობის მთავარი საარსებო შემოსავალი სწორედ ამაზეა დამოკიდებული. თუმცა ამ მხრივ წელს უფრო მეტი დამაიმედებელი ინფორმაციაა: აჭარის პლაჟები ნელ-ნელა ივსება ტურისტებით, მათ განსაკუთრებულ მოზღვავებას კი სწორედ "შავი ზღვის ჯაზფესტივალის" ჩატარების დღეებში ელიან.

**მათე ტაკიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:** "აჭარისთვის და კერძოდ ბათუმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია "შავი ზღვის ჯაზფესტივალის" დონის ღონისძიების მასპინძლობა. ეს ფესტივალი ხომ სასიამოვნოსთან ერთად სასარგებლო შედეგის მომტანიცაა. წინა ორი წლის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალის დღეებში ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად იმატებს, ამიტომ მის ორგანიზებაში ჩვენი სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს. ბევრი ქვეყანა მოკლებულია მსგავს სიამოვნებას, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ველით მსმენელთა ჯგუფს თურქეთიდან. წლევანდელი ტურისტული სეზონის გახსნა მართლაც ყველაზე გრანდიოზული იქნება, რადგან ჯაზფესტივალამდე გვაქვს პატივი ქეთი მელუას საქველმოქმედო კონცერტსაც ვუმასპინძლოთ."

წელს ფესტივალის სპონსორთა ჩამონათვალი ასეთია: გენერალური სპონსორია კომპანია "კოკა კოლას" ახალი მატონიზირებელი სასმელი Burn, სპონსორები Bat Oil და New Energy, სტუმრების ოფიციალური გადამყვანია Turkish Airlines, ოფიციალური მასპინძელი ქობულეთის სასტუმრო Georgia Palace Hotel. ვარსკვლავურ სტუმრებს კი კომპანია "ჯეოსელი" წარმოადგენს.

**ირმა ცქიტიშვილი, "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:** "ჩვენი კომპანია მოხარულია, რომ ამ მუსიკალური დღესასწაულის მონაწილეა. დარწმუნებული ვარ, საფესტივალო დღეები ტრადიციულად დაუვიწყარი იქნება და ჯაზის მოყვარულები ბოლომდე ისამოვნებენ. "ჯეოსელი" კი მსმენელს დაუვიწყარ იასამნისფერ საღამოებს ჰპირდება..."

# ART FORREST კუს ტბაზე

დღეს 21 საათზე კუს ტბაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და ქართულ-ბრიტანული კულტურის პლატფორმა აწყობს ექსკლუზიურ ფესტივალს სახელწოდებით ART FORREST.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ექსკლუზიური კინოსეანსი. ნაჩვენები იქნება ნოელ კლარკის 2008 წლის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ფილმი მოზარდები ("adulthood ), რომლისთვისაც რეჟისორმა, როგორც ამომავალმა ვარსკვლავმა 2009 წელს ბრიტანეთის კინოსა და ტელევიზიის აკადემიის პრიზი აიღო. (Bafta 2009 award in the category of orange rising for adulthood).

30-წუთიანი შესვენების შემდეგ გაიმართება ხელახალი სეანსი, ნაჩვენები იქნება როჯერ მიჩელის "ვენერა" პიტერ ო ტულისა და ვანესა რედგერივის მონაწილეობით. ფილმი ნომინირებული იყო 2007 წლის ოსკარზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, გარდა ამისა ფილმი არის ბრიტანეთის დამოუკიდებელი ფილმების ფესტივალის გამარჯვებული. ფესტივალი წელს თბილისში პირველად ტარდება და მასზე დასწრება უფასოა.

*24 საათი*

# არქეოლოგიური გამოფენა მილახვრიანთ კარის სასახლეში

## რამინ რამიშვილის 80 წლის იუბილე

7 ივლისს მილახვრიანთ კარის სასახლეში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების გამოფენა გაიხსნა. გამოფენა დიდი ქართველი მეცნიერისა და არქეოლოგის, რამინ რამიშვილის 80 წლის იუბილესადმი არის მიძღვნილი.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი უნიკალური მასალა მოიცავს პერიოდს ქვის ხანიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით და ძირითადად სწორედ 1973-1989 წლებში რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციების დროსაა მოპოვებული არაგვისა და თერგის ხეობაში.



გამოფენა განლაგებულია მილახვრიანთკარის ციხე-დარბაზში, რომლის მშენებლობა 1800 წელს დასრულდა და რომელიც თავად არის კულტურული შემეცნებისა და დათვალიერების ობიექტი, რადგან ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან სასახლეთა შორის, რომელიც დღემდე შემორჩა საქართველოს თითქმის უცვლელი სახით.

1973 წელს, ბატონი რამინის დამსახურებით მილახვრიანთკარის ციხე-სასახლის შენობა ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადაეცა.

დღესდღეობით მილახვრიანთკარის სასახლე მეტ-ნაკლებად აღდგენილია და მზადაა უმასპინძლოს დამთვალიერებს, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი გეგმავს ბოლომდე მიიყვანოს მილახვრიანთკარის სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის საქმე და ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთ ნაწილად აქციოს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ეროვნულ მუზეუმთან ერთად კომპანია "არსი" უზრუნველყოფს.

**დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი :** "ბატონი რამინი განსაკუთრებული ადამიანია და მისი დიდი დამსახურებაა, რომ არქეოლოგიური მასალა ასეთი სახით არის შენახული. ეს არის ის ადგილი, სადაც გვაქვს ისტორიული ნაგებობა, რომლის მსგავსიც არც ისე ბევრია საქართველოში. ეს ის შემთხვევაა, როცა მეცნიერება შეიძლება იყოს კიდევ უფრო აქტიური."

აღნიშნული გამოფენის გახსნას ესწრებოდა მეტროპოლიტენ მუზეუმის ერთ-ერთი კურატორი ელენ ევანსი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს გამოფენა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს დიდი ისტორიული წარსული აქვს.

აღსანიშნავია, რომ მილახვრიანთ კარის სასახლე მუდმივად უმასპინძლებს, როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუმრებს და გააცნობს საქართველოს ისტორიასა და ყოფას.

*24 საათი*

# მუნკის ციური სხეულები

ტეხასის უნივერსიტეტის ასტრონომებმა ნორვეგიელი ფერმწერის, ედვარდ მუნკის ბიოგრაფიის აქამდე უცნობი დეტალები გამოარკვიეს, ამ აღმოჩენებს საფუძვლად მუნკის ნახატებზე ასახული ასტრონომიული ობიექტების ანალიზი უდევს. ამის შესახებ ნათქვამია უნივერსიტეტის პრესრელიზში, ხოლო მკვლევარების სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალ Griffith Observer.



ამ გამოკვლევის ფარგლებში, მეცნიერები მუნკის სამი ნამუშევარით დაინტერესდნენ, ესენია: მზის ამოსვლა , ვარკვლავიანი ღამე და შტორმი . მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სამივე ნახატი 1893 წლის გაზაფხულზეა შესრულებული. ნორვეგიელი მხატვრის ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, იმ დროისათვის მუნკი გერმანიაში იმყოფებოდა.

თავდაპირველად მკვლევარებს ხელში მუნკის უახლოესი მეგობრის ჩანაწერები ჩაუვარდათ. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც 1893 წლის 19 აგვისტოთია დათარიღებული, ნახსენებია მხატვარი. მასში ნათქვამია, რომ, ამ დღეს მუნკი ნორვეგიაში იყო. ამ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ნახატი შტორმი გამოსახავს უჩვეულოდ ძლიერ ქარიშხალს, რომელიც ამ რაიონში ზუსტად ამ დღეს მოხდა.

მეცნიერებმა მუნკის უახლოესი მეგობრის სიტყვების მტკიცებულებათა ძებნა ფერმწერულ ტილოებში გადაწყვიტეს. ასე მაგალითად, ვარსკვლავიან ღამეში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ზეცაზე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი არის არა ვენერა, როგორც ეს ადრე მიაჩნდათ, არამედ იუპიტერი (ვენერა წლის ამ მონაკვეთში არ ჩანს). ამის გარდა, ხეებს შორის მოცემული თეთრი ზოლი, რომელსაც მთვარის ანარეკლად აღიქვამდნენ, ფლაგშტოკი აღმოჩნდა. მკვლევარებმა ეს ფლაგშტოკი იმ ადგილების ამსახველ სურათებში ნახეს მუნკი რომ იმყოფებოდა.

ნახატზე შტორმი მეცნიერებმა, ასევე, გაარჩიეს კაშკაშა ვარსკვლავი - ის არქტიკული აღმოჩნდა. ვარსკვლავების განლაგება მიუთითებს იმაზე, რომ სურათი ნორვეგიაში დაიხატა. და ბოლოს, მუნკის მესამე ნამუშევარზე გამოსახული მზის მდებარეობა და მისი ანარეკლი წყალში კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ 1893 წლის ზაფხულში ედვარდ მუნკი ნორვეგიაში იმყოფებოდა.

ედვარდ მუნკი 1863-1944 წლებში ცხოვრობდა. მის ბიოგრაფიულ მონაცემებში აღნიშნულია, რომ ნორვეგიელი ფერმწერი, გრაფიკოსი და ექსპრესიონისტი მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით იტანჯებოდა. მუნკის ყველაზე ცნობილი ნამუშევარია კივილი , უფრო ზუსტად ერთმანეთის მსგავსი ნახატების სერია. თავდაპირველად ამ ნაწარმოებს ერქვა სასოწარკვეთა . ამ ნამუშევარში ნაჩვენები საშინელების ხატება, რომელიც მუნკს ცხოვრების უკანასკნელ დღემდე აწუხებდა, ახლა კონცეპტუალური ხელოვნების სიმბოლოთაგან ერთ-ერთია.

ის ოსლოს ხატვის სამეფო სკოლასა (1881-1886 წწ.) და კროგის სახელოსნოში (1882-1883 წწ.) სწავლობდა. 1880-1900 წლებში ის მუშაობდა საფრანგეთში, სადაც პოლ გოგენის, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკისა და ვინსენტ ვან გოგის გავლენას განიცდიდა, ასევე, გერმანიასა და იტალიაში. მისი მსოფლმხედველობა ავგუსტ სტრინდბერგის, კნუტ ჰამსუნის და სხვა სკანდინაველი მწერალ-სიმბოლისტების ზემოქმედებით ჩამოყალიბდა, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი დამოკიდებულება სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელი მარტოსულობისა და სიკვდილის მარადიული თემებისადმი. 1890-იან წლებში მუნკის შემოქმედება იმ ეპოქაში ჩამოყალიბებული მოდერნის სტილის ფარგლებში ვითარდებოდა. თუმცა, ამ პერიოდში შექმნილ ნამუშევრებშიც კი, მახვილი თვალი ადვილად აღმოაჩენს ისეთ შტრიხებს, რომლებიც სახეთა ტრაგიკულობას ამძაფრებს. მუნკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თემას, რომელიც მამაკაცისა და ქალის ურთიერთობას ასახავს. მასთან ქალი სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი: ქალი, როგორც გოგონას იდეალიზირებული სახება, როგორც ეროტიკული ქალური საწყისის პერსონიფიკაცია ან როგორც მბრძანებელი დედა - სიკვდილი. მუნკის მიერ 1890-1910 წელბში შესრულებული ნამუშევრების უმრავლესობა შედის დაუსრულებელ ციკლში, სახელწოდებით ცხოვრების ფრიზი . მხატვრის გრაფიკული ნამუშევრები მკვეთრად გამომსახველობითია. ბრწყინვალეა მისი ქსილოგრაფიები, ოფორტები თუ ლითოგრაფიები. უფრო მოგვიანებით მან მონუმენტურ ფერწერას მიმართა და ტილოზე ქალაქურ ცხოვრებას ასახავდა.

ოსლოში მდებარეობს ნაციონალური გალერეა, საიდანაც 2004 წლის 22 აგვისტოს ორმა შეიარაღებულმა დამნაშავემ კივილი და მადონა მოიპარა. 2006 წლის მაისში ამ ქურდობაში დადანაშაულებული სამი ეჭვმიტანილი დააპატიმრეს, ხოლო 2006 წელს პოლიციამ ნაქურდალიც აღმოაჩინა. დამნაშავეთა ხელში ტილოები დაზიანდა, მათზე აღიბეჭდებოდა ნაფხაჭნები და ნესტის კვალი, ტილოები დახეული იყო. მუზეუმის წარმომადგენელთა სიტყვებით, ლაქა კივილის კუთხეში ყოველთვის შესამჩნევი იქნება. რესტავრატორებს არ სურდათ რაიმე გამოუსწორებელი მოქმედება განეხორციელებინათ , - განაცხადეს თანამშრომლებმა და იქვე დასძინეს, რომ მომავალში, შესაძლოა, გამოჩნდეს მეთოდი, რომელიც აღნიშნული სურათიდან ამ ლაქას ამოიყვანს.




10 ივლისი

**არტ-გენი**
**ვაკის პარკი - კლუბი "33ა"**
ჯგუფები რეგიონებიდან
დასაწყისი: 20.00

**თეატრი**

**თავისუფალი თეატრი**
იდიოტოკრატია - ანუ ძალიან სასაცილო კემედია
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
ტერენტი გრანელი - მთვარისკენ ნასროლი მიხაკი
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**ამირანი**
რა მოხდა ვეგასში
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 20.00; 22.00
ტრანსფორმერები 2
დასაწყისი: 14:15; 19:30; 22:15;
მფრინავი სახლი
დასაწყისი: 12.15
შეთავაზება
დასაწყისი: 17.00

**გამოფენები**

**ხელოვნების მუზეუმი**
პიკასო საქართველოში

**ბაია**
ჯარჯი ბალანჩივაძის პერსონალური გამოფენა

**ქარვასლა**
ტექსტილი ინტერიერში
ქეთი ფერაძის, თამარ ბაქრაძის და ირინა ლავრინეკოს ნამუშევრები

### სამგანზომილებიანი ოპერა

საფრანგეთის ბრეტანის ადმინისტრაციულ ცენტრში არსებულ რენას თეატრში უჩვეულო სანახაობა გაიმართა. წარმოადგინეს მოცარტის ოპერა დონ ჟუანი , თუმცა იმ განსხვავებით, რომ წარმოდგენა ეკრანზე სამგანზომილებიანი გამოსახულების თანხლებით მიმდინარეობდა. თანამგზავრის საშუალებით კი წარმოდგენა პარიზისა და ავინიონის კინოთეატრების ეკრანებზეც გადაიცემოდა.

სამგანზომილებიანი დადგმის გადასაღებად პროექტის ავტორებს 3D კამერების ოთხი კომპლექტი დასჭირდათ, ხოლო მაყურებლებს მსგავსი ჩვენებებისას აუცილებელი სპეციალური სათვალეები დაურიგეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენება სულ რაღაც 20 ევრო ღირდა, დანარჩენი ხარჯი კი ადგილობრივმა მობილურმა კომპანიამ გაიღო, რადგან ეს ყველაფერი მის სარეკლამო აქციას წარმოადგენდა.

## ჩემპიონთა ლიგაზე ქართული წარმომადგენლობა იზრდება

აზერბაიჯანის საფეხბურთო კლუბ ბაკის მიერ ჩემპიონთა ლიგისთვის წარდგენილ განაცხადში ორი ქართველი ფეხბურთელი მოხვდა - ნახევარმცველი ამირან მუჯირი და თავდამსხმელი გიორგი ადამია.

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბაქოელებს ლიტვის ეკრანასთან მოუწევთ დაპირისპირება. აზერბაიჯანელები პირველ მატჩს სტუმრად 14 ივლისს ჩაატარებენ.

## მელომ ტრანსფერი გააპროტესტა

ფიორენტინას ქომაგებს საყვარელი გუნდის ლიდერების ტურინის იუვენტუსში გადასვლა უკვე ტრადიციად ექცათ.

ამჯერად იების ფანებმა გუნდის მფლობელებს ფელიპე მელოს ტრანსფერის გამო მოუწყვეს ობსტრუქცია. 7 ივლისს არტემიო ფრანკის სტადიონზე გაჩნდა წარწერები, რომლითაც ფანებმა კლუბის ხელმძღვანელობას პრინციპულ მეტოქესთან სატრანსფერო გარიგებაზე უარის თქმისკენ მოუწოდეს.

თუ მელოს იუვენტუსს მიჰყიდით, სეზონური აბონემენტების გასაღების იმედი ნუღარ გექნებათ , პანტალეო კორვინომ ( ფიორენტინას სპორტული დირექტორი - რედ.) უმჯობესია ფეხსაცმელები გაყიდოს და არა საუკეთესო მოთამაშეები , - ნათქვამია ფლორენციული კლუბის ქომაგთა მიერ გაკეთებულ წარწერებში.

## ყველა ვარსკვლავის ყიდვა შეუძლებელია

კაკას, კრიშტიანუ რონალდუს, არბეოლასა და ბენზემას შეძენის შემდეგ რეალის მთავარი სამიზნე ფრანკ რიბერი იყო, თუმცა ვითარება ისეთია, რომ სამეფო კლუბი რიბერის ვერ შეიძენს. მეტიც, მადრიდელთა გენერალურმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ ისიც კი თქვა, რომ რიბერის შეძენის იმედი გადაეწურა.

რიბერის გარშემო შექმნილ სიტუაციაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის ამ ზაფხულს კლუბს არ შეიცვლის, რადგან ბაიერნს მის გაყიდვაზე უარის თქმის არაერთი საშუალება აქვს. მათ შეუძლიათ პირდაპირ განაცხადონ უარი ან ფეხბურთელში 80 მილიონი ევრო მოითხოვონ, რაც ასევე უარის თქმის ტოლფასია. ამიტომ მისი შეძენის შანსს აღარ ველოდებით. კონტრაქტის თანახმად, მას გერმანულ კლუბში კიდევ ორი წელიწადი აქვს გასატარებელი - რას იზამ, ცხოვრება გრძელდება , - აღნიშნა ვალდანომ.

შესაძლოა, "რეალს კიდევ ერთი ტრანსფერი ჩაეშალოს - ლაპარაკია ხაბი ალონსოზე, რომლის დათმობას ლივერპული" არ აპირებს, უფრო სწორად, ჯერჯერობით ამ ორ კლუბს შორის შეთანხმება ალონსოს ტრანსფერზე ვერ შედგა.

## ვიეირა ინგლისში ბრუნდება?

33 წლის ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა უკმაყოფილოა აპენინურ გრანდში თავისი მდგომარეობით და გუნდის გამოცვლა სურს. ამ ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვეტერანი ნახევარმცველი პსჟ-სთან აწარმოებს მოლაპარაკებას, თუმცა, შემდეგ პროცესი ჩიხში შევიდა და გარიგება არ შედგა. ვიეირას შეძენით დაინტერესდა პრემიერლიგაში დაბრუნებული "ბირმინგემი", რომელიც ნახევარდაცვის გაძლიერებას ცდილობს. თუმცა, მეორე საკითხია - ისურვებს თუ არა ვიეირა "ბირმინგემში" კარიერის გაგრძელებას.

## საფეხბურთო კრიმინალები

ბოლო დროს გახშირდა ფეხბურთთან დაკავშირებული კრიმინალური შემთხვევები. კოლუმბიაში ასეთი შემთხვევები ბევრად მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ერთად აღებული. ხან გულშემატკივარი უსწორდება ფეხბურთელს (1994 წელი, როცა გულშემატკივარმა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ესკობარი გამოასალმა სიცოცხლეს), ხან კი თავად ფეხბურთელი ხდება დამნაშავე. 2009 წლის ივნისში "ატლეტიკო ხუნიორსის" მიერ წაგებული ფინალური მატჩი "აპერტურასთან" მორიგი ახალი დანაშაულის მიზეზი გახდა - ფეხბურთელმა საკუთარი გულშემატკივარი მოკლა. "ატლეტიკო ხუნიორის ნახევარმცველის ხავიერ ფლორესის გაღიზიანება წაგებული თამაშის გამო დაცინვამ გამოიწვია. კოლუმბიის საპორტო ქალაქ ბარანკილის საფეხბურთო კლუბის ნახევარმცველი ქუჩაში 27 წლის გულშემატკივარს სასტიკად გაუსწორდა. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თუმცა, მალე სინდისმა შეაწუხა და პოლიციას ჩაბარდა.

# ზესტაფონი ფონს გავიდა

ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე მსუყე ანგარიშით (5:1) მოგებული შეხვედრის შემდეგ ეჭვი არავის შეპარვია იმაში, რომ ზესტაფონი შინაურ კედლებში რაიმეს დათმობდა. იმერლები საკუთარ კედლებში ჩრდილო ირლანდიელთა ლისბერნ დისტილერს" 6 უპასუხო გოლით გაუმასპინძლდნენ და შემდგომ ეტაპზე რიხინ-რიხინით გავიდნენ. მართალია, მეტოქე სუსტი ჰყავდათ, მაგრამ ბევრი ისეთიც გვახსოვს, როდესაც სუსტი გუნდი ქართულ კლუბზე ძლიერი აღმოჩენილა.

როგორც არ უნდა იყოს, ს/კ ზესტაფონმა" მისი არსებობის ისტორიაში პირველად დაძლია საევროტურნირო ბარიერი. ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველებს გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლებათ. ამ შემთხვევაში ზესტაფონელებს გამოცდის ჩაბარება მოუწევთ შვედეთის ჰელსინგბორგთან" რომელსაც

იმერლები ჯერ 16 ივლისს უმასპინძლებენ, ერთი კვირის შემდეგ კი სკანდინაველები მოგვევლინებიან მასპინძლებად.

**ზესტაფონი" (საქართველო) - ლისბერნ დისტილერი" (ჩრდ. ირლანდია) 6:0 (4:0 9 ივლისი. ზესტაფონი, სტადიონი ცენტრალური". 3000 მაყურებელი.**

ზესტაფონი": მამალაძე, ლობჟანიძე, ხიდეშელი, გიორგი ონიანი, ელიავა (46, მაკარიანი), დაუშვილი (46, ბენაშვილი), აფციაური, გრიგალაშვილი, ძარია (60, გორგიაშვილი), დვალი, გელაშვილი.

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე.

ლისბერნი": მერფი, არმური (73, გარი ტომპსონი), ბენ ბრაუნი (46, კორი), კინგსბერი (46, შოუ), სიმპსონი, მაკშეინი, უილანი, კალაგანი, მელაუჰი, კილმარტინი, სტიუარტ ტომპსონი.

მწვრთნელი: ჯიმი ბრაუნი.

გაფრთხილება: სტ. ტომპსონი (62), სიმპსონი (73), ბენაშვილი (89).

გოლები: 1:0 დვალი (5), 2:0 დვალი (39), 3:0 დვალი (42), 4:0 გელაშვილი (45), 5:0 ბენაშვილი (86), 6:0 ბენაშვილი (90).

მსაჯები: აუგუსტ ვიორელ კონსტანტინი, კრისტიან კონსტანტინ ნიკა, ჯორჯ ადრიან ვიდანი (ყველა რუმინეთი). ფრიდონ კერვალიშვილი

# შვიდკაცა კონტინენტის პირველობაზე გაემგზავრა



*ევროპის შვიდკაცას პორტუგალიასთან თამაშით გავხსნით.*

ხვალ გერმანიის ქალაქ ჰანოვერში სტარტს აიღებს შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას.

კონტინენტის პირველობაზე თამაშის უფლება კახა ალანიას შეგირდებმა ორ შესარჩევ ეტაპზე წარმატებული თამაშით მოიპოვეს. პოლონურ ქალაქ სოპოტში საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. ასეთივე შედეგი აჩვენეს ჩვენმა ბიჭებმა ოდესურ ეტაპზეც და 28 ქულით ფინალში გავიდნენ.

ჰანოვერის ტურნირზე საქართველოს ნაკრები B ჯგუფში პორტუგალიის, იტალიის, ესპანეთისა და პოლონეთის გუნდებთან ერთად იასპარეზებს. თასის ნახევარფინალში გასასვლელად ჩვენმა გუნდმა ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილი უნდა დაიკავოს.

კახა ალანიამ ჰანოვერში წაიყვანა:

1. დავით ბოლღაშვილი ( ლილი , საფრანგეთი), 2. შალვა სუთიაშვილი ( მასი , საფრანგეთი), 3. ირაკლი ნატრიაშვილი ( ფარულ-კონსტანცა , რუმინეთი), 4. ბიძინა სამხარაძე ( ფარულ-კონსტანცა , რუმინეთი), 5. მერაბ კვირიკაშვილი ( მასი , საფრანგეთი), 6. რევაზ გიგაური ( მასი , საფრანგეთი), 7. გიორგი შკინინი (კაპიტანი, ხულიგანა ), 8. სიმონ მაისურაძე ( კლერმონი , საფრანგეთი), 9. ირაკლი გეგენავა ( ყოჩები ), 10. ალექსანდრე ტუჩაშვილი ( ლოკომოტივი ).

**მწვრთნელი:** კახა ალანია.
**მენეჯერი:** ნოდარ ანდღულაძე.
**შვიდკაცა რაგბის დირექტორი:** გიორგი ასათიანი.
**ექიმი:** აბესალომ აბრამიშვილი.

**A ჯგუფი**
1. საფრანგეთი
2. რუსეთი
3. მოლდოვა
4. რუმინეთი
5. გერმანია

**B ჯგუფი**
1. პორტუგალია
2. იტალია
3. ესპანეთი
4. საქართველო
5. პოლონეთი

**ტურნირის განრიგი**
**შაბათი, 11.07.2009**
1. გერმანია - საფრანგეთი
2. პოლონეთი - პორტუგალია
3. რუსეთი - მოლდოვა
4. იტალია - ესპანეთი
5. საფრანგეთი - რუმინეთი
6. პორტუგალია - საქართველო
7. რუსეთი - გერმანია
8. იტალია - პოლონეთი
9. მოლდოვა - რუმინეთი
10. ესპანეთი - საქართველო
11. საფრანგეთი - რუსეთი
12. პორტუგალია - იტალია
13. მოლდოვა - გერმანია
14. ესპანეთი - პოლონეთი
15. რუსეთი - რუმინეთი
16. იტალია - საქართველო

**კვირა, 12.07.2009**
17. საფრანგეთი - მოლდოვა
18. პორტუგალია - ესპანეთი
19. რუმინეთი - გერმანია
20. საქართველო - პოლონეთი

**სინის ნახევარფინალი**
21. A ჯგუფის მე-3 ადგილი - B ჯგუფის მე-4 ადგილი
22. A ჯგუფის მე-4 ადგილი - B ჯგუფის მე-3 ადგილი

**თასის ნახევარფინალი**
23. A ჯგუფის 1-ლი ადგილი - B ჯგუფის მე-2 ადგილი
24. A ჯგუფის მე-2 ადგილი - B ჯგუფის 1-ლი ადგილი

მატჩი მე-9 ადგილისთვის (ფიალის ფინალი)
25. A ჯგუფის მე-5 ადგილი - B ჯგუფის მე-5 ადგილი

**მატჩი მე-7 ადგილისთვის**
26. 21-ე მატჩის წაგებული - 22-ე მატჩის წაგებული

მატჩი მე-5 ადგილისთვის (სინის ფინალი)
27. 21-ე მატჩის მოგებული - 22-ე მატჩის მოგებული

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**
28. 23-ე მატჩის წაგებული - 24-ე მატჩის წაგებული

**მატჩი პირველი ადგილისთვის (თასის ფინალი)**
29. 23-ე მატჩის მოგებული - 24-ე მატჩის მოგებული

**ფოტო:** ევროპის შვიდკაცას პორტუგალიასთან თამაშით გავხსნით.

## "ვალენსია" მატას მომავალზე ფიქრობს

მე ვალენსიას ფეხბურთელი ვარ და ჩემს ტრანსფერს კლუბი გადაწყვეტს. თუ ჩათვალეს, რომ ჩემთვის სხვა კლუბში გადასვლა უმჯობესი იქნება, ამისთვის მზად ვარ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვალენსიაში დარჩენა მინდა , - ასეთი განცხადება გააკეთა ვალენსიას ნახევარმცველმა ხუან მატამ, რომლის შეძენას კატალონიური ბარსელონა ცდილობს.

## კაკას შემცვლელის ძიებაში

მილანის ახალი მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი ლეონარდო მადრიდის რეალში გადასული კაკას ღირსეული შემცვლელის მოძებნას ცდილობს.

მადლობელი ვარ კარლო ანჩელოტის, რომ ასეთი გუნდი დამიტოვა. მასთან ურთიერთობას კვლავაც გავაგრძელებ. ძალიან კარგი მეგობრები ვართ და ეს შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა დაადასტუროს, ვინც მილანში მუშაობს. კაკას რეალში გადასვლასთან დაკავშირებით მასთან ამ ცოტა ხნის წინ მქონდა ურთიერთობა. ვფიქრობ, კაკამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო - მას საკუთარი ძალის ახალ კლუბში და ახალ ჩემპიონატში მოსინჯვის შესაძლებლობა მიეცემა. მისი მოტივაცია კარგად მესმის. ეჭვგარეშეა, ეს მნიშვნელოვანი დანაკარგია, რადგან ის შთამბეჭდავი საფეხბურთო პერსონაა. ჩვენი გუნდისთვის ამაში სახიფათოს ვერაფერს ვხედავ. კაკას სრულფასოვანი შემცვლელის მოძებნას შევეცდებით , - აღნიშნა ლეონარდომ.

მილანის ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანის თქმით, როსონერის კაკას შემცვლელის მოძებნა კლუბს მიღმა არ მოუწევს, რადგან მილანში ირიცხება რონალდინიო, რომელიც, ფორმის აღდგენის შემთხვევაში, სრულფასოვნად შეცვლის კაკას.

## ტრეზეგე "იუვენტუსში" რჩება

მიუხედავად იმისა, რომ დავიდ ტრეზეგეს ტრანსფერზე ბევრი ითქვა, ფრანგი ფორვარდი მომავალ სეზონსაც ტურინის იუვენტუსში გაატარებს. იუვენტუსსა და ფრანგულ ლიონს შორის ფორვარდის სამშობლოში დაბრუნების შესახებ გამართული მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

ლიონი აღმოჩნდა ერთადერთი კლუბი, რომელიც მზად იყო ტრეზეგეს სანაცვლოდ ბებერი ქალბატონის მიერ მოთხოვნილი თანხა გადაეხადა, თუმცა, ფრანგებმა თავად ფეხბურთელთან ვერ გამონახეს საერთო ენა. პრობლემა დავიდის ხელფასის საკითხზე შეუთანხმებლობამ წარმოშვა. ტრეზეგემ უარი განაცხადა ანაზღაურების თითქმის ორჯერ შემცირებაზე. საგულისხმოა, რომ ტურინულ კლუბში ფრანგი ფორვარდი ხელფასის სახით წელიწადში 4,5 მილიონ ევროს იღებს.

# ფაჩულიამ ატლანტასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ლიდერმა და კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ "ატლანტა ჰოუკსთან მორიგი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს ინფორმაცია გაავრცელა გამოცემა The Atlanta Journal-Constitution-მა. აღსანიშნავია, რომ ეს ჯორჯიული გამოცემა ყველაზე სანდო და ვრცელ ინფორმაციებს ავრცელებს ჰოუკსის თაობაზე.

შეგახსენებთ, რომ NBA-ში სეზონის დასრულების შემდეგ ამოიწურა იმ კონტრაქტის ვადა, რომელიც ზაზა ფაჩულიას ჰოუკსთან აკავშირებდა. 1 ივლისიდან ქართველი კალათბურთელი თავისუფალი აგენტი იყო. იყო ვარაუდი, რომ ზაზა ქორებს დატოვებდა. ამაზე თავად ფაჩულიაც საუბრობდა. სეზონის დასრულების შემდეგ ზაზამ The Atlanta Journal-Constitution-ის ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა კიდეც, რომ სურს კარიერის ბოლომდე ატლანტაში დარჩენა, მაგრამ, ცხადია, ეს მხოლოდ მის სურვილზე არ არის დამოკიდებული.

საქმე ისაა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ოთხი ატლანტელი გახდა თავისუფალი აგენტი და, კლუბის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ოთხივეს შენარჩუნება ძალიან ძნელი იქნებოდა. არადა, გასულ სეზონში ატლანტამ ბრწყინვალედ ითამაშა და გუნდის ფანები მოითხოვდნენ ძირითადი ბირთვის შენარჩუნებას.



ზაზა ფაჩულია ატლანტაში დარჩა

ჰოუკსის მთავარი მიზანი ვეტერან მაიკ ბიბის შენარჩუნება იყო. და აი, ორი დღის წინ ქორებმა ბიბისთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. კონტრაქტის თანახმად, ბიბი 18 მილიონ დოლარს მიიღებს. რამდენიმე დღის წინ კი ითქვა, რომ ფაჩულიას სანაცვლოდ გუნდი შეიძენს ევროპაში მოთამაშე ავსტრალიელ დავიდ ანდერსონს, რომელსაც კლუბი უფრო ნაკლებს გადაუხდის, ვიდრე ფაჩულიას უხდიდა. თუმცა ეს მხოლოდ ჭორი ყოფილა. გაფორმდა თუ არა კონტრაქტი ბიბისთან, კლუბის მესვეურებმა ფაჩულიას შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა. შეთანხმება სწრაფად მოხერხდა - გუშინ ფაჩულიასთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ამ ოთხი სეზონის განმავლობაში ზაზა 19 მილიონ დოლარს მიიღებს.

# NBA-ში დაბრუნების მცდელობა

საქართველოს ნაკრების კალათბურთელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი NBA-ში დაბრუნებას ლამობს. თავის დროზე ნიკაზე დიდ იმედს ამყარებდნენ, ის დრაფტზე მეხუთე ნომრადაც იყო, თუმცა ქართველი კალათბურთელის ამერიკული კარიერა ისე არ აეწყო, როგორც მას და მის გულშემატკივარს სურდათ.

გასული სეზონი ცქიტამ ესპანურ ფუენლაბრადაში გაატარა და ურიგოდ არ უთამაშია. განსაკუთრებით გამოიჩინა თავის ესპანურ გრანდებთან თამაშისას. ზაფხულში ქართველ კალათბურთელს ესპანურ კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა და ახლა უკლუბოდაა. ევროპულ კლუბებში კარიერის გაგრძელება ცქიტიშვილს არ გაუჭირდება, თუმცა საქართველოს ნაკრების წევრი NBA-ში დაბრუნებას ლამობს. სწორედ ამ მიზნით მიაშურა ამერიკას, სადაც ნიუ იორკ ნიკსის საზაფხულო თასზე ითამაშებს.

ახლა ცქიტიშვილი უკონტრაქტოდაა და NBA-ს გუნდის თასზე მას არაერთი გუნდის წარმომადგენელი შეავლებს თვალს. თასის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს ექვსი გუნდი: მემფისი , საკრამენტო , დეტროიტი , ჩიკაგო , ვაშინგტონი და მასპინძელი ნიუ იორკი . ქართველი ფორვარდი სწორედ მასპინძელთა გუნდში ითამაშებს და მისი



ცქიტიშვილი ნიუ იორკის თასზე ითამაშებს

ნომერი იქნება 55, როგორც ეს სამი წლის წინ, ამ გუნდში თამაშისას იყო. ცქიტიშვილმა ნიუიორკელებთან 2006-07 წლების სეზონში სამიოდე თვეს ითამაშა და სულ სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ახლა ის ისევ ნიუ იორკშია , ოღონდ უკონტრაქტოდ და ხელშეკრულება რომ გაუფორმონ, საზაფხულო ლიგის მატჩებში თავის გამოჩენა მართებს.

მისი თანაგუნდელები საზაფხულო ლიგაზე იქნებიან: ალექს ასკერი, მორის ალმონდი, პატრიკ იუინგი (უმცროსი), ჯორდან ჰილი, იაროსლავ კოროლევი, დევიდ ნოელი, მუსამედ სენე, რაშად სინგლტონი, რონ ჰოვარდი, ტონი დუგლასი, უორენ კარტერი, ბლაიკ აჰერნი, ვინკ ადამსი. საზაფხულო ლიგა 11 ივლისს აიღებს სტარტს. სამი დღე ვარჯიშები იქნება, შემდეგ კი მატჩები დაიწყება. ცქიტიშვილის ნიუ იორკი 14-19 ივლისს ხუთ მატჩს გამართავს.

ეროვნული ნაკრების შეკრება 20 ივლისს ავსტრიაში იწყება. ცქიტიშვილი, სავარაუდოდ, პირდაპირ ამერიკიდან შეუერთდება იგორ კოკოშკოვის გუნდს.

### გერმანიის ჩემპიონმა ზიანი იყიდა

ბუნდესლიგის გათამაშების წლევანდელმა ტრიუმფატორმა ვოლფსბურგმა პირველი ტრანსფერი განახორციელა - მგლებმა "მარსელისგან" 26 წლის ალჟირელი ნახევარმცველი ქარიმ ზიანი შეიძინეს. "ვოლფსბურგს" ფრანგული კლუბის აფრიკელი შუახაზელის ტრანსფერზე დაყოლიება 7 მილიონი ევრო დაუჯდა, თავად ფეხბურთელთან კი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### ვან პერსი "არსენალს" არ ღალატობს

ჰოლანდიის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის შემტევმა რობინ ვან პერსიმ მეთოფეებთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.

არსენალმა ჰოლანდიელს ანაზღაურება გაუზარდა. ამიერიდან ვან პერსი კვირაში ხელფასის სახით 80 ათას გირვანქას მიიღებს, რის შედეგადაც გუნდის ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად მოთამაშედ იქცევა.

### "სევილია" ფორვარდს ეძებს

ესპანური სევილია მოლაპარაკებას მართავს პორტუგალიურ სპორტინგთან ბრაზილიელი ფორვარდის, 31 წლის ლიედსონის თაობაზე.

სევილია , სავარაუდოდ, დაემშვიდობება ლუის ფაბიანოს, რომელსაც არაერთი გრანდი იწვევს. სწორედ მისი შემცვლელი სჭირდება კლუბს. ლიედსონს სპორტინგთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა და ის პორტუგალიელებთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ ჩქარობს. ასე რომ, ლიედსონის გადასვლა სევილიაში სრულიად რეალურია.

### ფორლანი "ატლეტიკოში" რჩება

მადრიდის ატლეტიკოსა და ურუგვაის ნაკრების ფორვარდი დიეგო ფორლანი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში კლუბის შეცვლას არ აპირებს.

ესპანეთის დატოვებისთვის მზად არ ვარ. რა თქმა უნდა, თუ საინტერესო წინადადება იქნება, აუცილებლად განვიხილავ. სერია A მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტურნირია, მაგრამ ახლა საკითხი ასე არ დგას. მილანისგან არავითარი შეთავაზება არ მიმიღია. ეს მხოლოდ ჭორია, - თქვა ურუგვაელმა.

უცხოური მედია ფორლანის ბარსელონაში გადასვლაზეც საუბრობდა, თუმცა, როგორც ჩანს, ესეც მხოლოდ ჭორი იყო.

### რედნაპი ფიგუს ეპატიჟება

ვეტერანმა პორტუგალიელმა ვარსკვლავმა სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ლუიშს ინტერი კიდევ ერთი წლით სთავაზობდა კონტრაქტის გაგრძელებას, ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ წასვლის დრო მოვიდა. თუმცა ვითარება შეიძლება შეიცვალოს და ფიგუმ, სულ მცირე, კიდევ ერთი წელი ითამაშოს უმაღლეს დონეზე.

პორტუგალიური მედიის ინფორმაციით, ფიგუს ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი ეპატიჟება თავის გუნდში.

რედნაპი ინგლისური ფეხბურთის ლეგენდის - ბობი რობსონის მიერ ორგანიზებულ გოლფის ტურნირზე შეხვდა ფიგუს. პორტუგალიელს ინგლისის პრემიერლიგაში თამაშის შესაძლებლობა არ გამოურიცხავს.

ფიგუს ბობი რობსონთან ჩინებული ურთიერთობა აქვს. მე მას ვესაუბრე. რა თქმა უნდა, ფეხბურთსაც შევეხეთ. ლუიშმა მითხრა, რომ საკუთარ მომავალთან დაკავშირებით ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის, - განაცხადა რედნაპმა.

### კასანო "სამპდორიას" ერთგულია

ჭირვეული იტალიელი ვარსკვლავი ანტონიო კასანო, როგორც ჩანს, უახლოეს პერიოდში კლუბის შეცვლას არ აპირებს. გენუის სამპდორიას მესვეურების განცხადებით, 26 წლის ფორვარდი მომავალ სეზონშიც მათ გუნდში ითამაშებს. ამავე დროს სამპა რამდენიმე ფეხბურთელით აპირებს გაძლიერებას.

ვფიქრობ, ბოლოდროინდელ მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია - ასპროცენტიანი ალბათობით კასანო სამპდორიაში დარჩება. მისით ბევრი კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ ოფიციალურად არავის მოუმართავს, - განაცხადა სამპდორიას პრეზიდენტმა რიკარდო გარონემ.

გენუელების პოტენციურ შენაძენთა შორის სახელდება ფერნანდო ტისონე, რომელიც სამპდორიას ახლანდელ მთავარ მწვრთნელთან ლუიჯი დელ ნერისთან 2007/2008 წლების სეზონში ატალანტაში მუშაობდა. კიდევ ორი ფეხბურთელი, რომელთა შეძენასაც გენუელები აპირებენ, ფიორენტინაში ირიცხებიან - ფრანკო სემიოლი და მარიო ალბერტო სანტანა. სემიოლი თავის დროზე დელ ნერის ხელმძღვანელობით კიევოში გამოდიოდა.

9 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია ჯემალ დავითაძის, თენგიზ დავითაძისა და ქეთევან ნემსაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **20 544.49 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 24 ივლისს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ჯემალ დავითაძე, მცხ: ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. 78/88, ბინაN128, თენგიზ დავითაძე, მცხ: ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.N90/93, ბინაN28 და ქეთევან ნემსაძე, მცხ: ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.N7, ბინაN21:

## განცხადება
## აუქციონში ცვლილებების შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაზეთ 24 საათის 2009 წლის 2 ივლისის N147-ში გამოცხადებულ განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება: ნაცვლად "დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს" ჩაიწეროს "დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით აცხადებს პირობებიან აუქციონს". Dდ) მუხლის შემდეგ მოხდეს ჩამატება, კერძოდ:

"აუქციონის პირობების შესაბამისად შესრულდეს შემდეგი ვალდებულებები:

a) მყიდველი ვალდებულია შეინარჩუნოს შენობის ძირითადი პროფილი 10 (ათი) წლის განმავლობაში;

b) მყიდველი ვალდებულია ყიდვის დღიდან 2009 წლის 20 სექტემბრამდე განახორციელოს შენობა-ნაგებობის გარე ფასადური და სახურავის სარემონტო სამუშაოები, ხოლო 2010 წლის თებერვლის ბოლოს დაიწყოს ფუნქციონირება;

g) სასტუმროს ფუნქციონირების დაწყების მომენტიდან მყიდველი ვალდებულია დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა, არანაკლებ 70-80 % დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობნასთან შეთანხმებით;

დ) გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, შემდგომში გაფორმებული ოქმის (ხელშეკრულების) მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე პირობებით, რაც გათვალისწინებული იქნება შემდეგში გაფორმებული ოქმით. Qქონების გასხვისების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს;

ე) უზრუნველყოს 10 (ათი) წლის განმავლობაში შენობა-ნაგებობის საკუთარი ხარჯებით კაპიტალური შეკეთება და მიმდინარე რემონტი;

ვ) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონება დაუბრუნდება პირვანდელ მესაკუთრეს, დუშეთის მუნიციპალიტეტს;

ზ) სახელშეკრულებო ვადის (10 წლის) გასვლის შემდეგ მყიდველი უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს აღნიშნული ქონების ფუნქციური დანიშნულება და საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს ან გაასხვისოს შენობა-ნაგებობა."

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## განცხადება
## დუშეთის მუნიციპალიტეტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში 24 საათის 4 ივნისის 123 ნიმერში გამოქვეყნებულ განცხადებაში, ქალაქ დუშეთის ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე გამოვლინდა სამივე ლოტზე გამარჯვებული შპს"გზამშენი-2005".

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაზეთი 24 საათის , 6 ივნისის 125-ე ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში ,დუშეთის მუზნიციპალიტეტის რვა საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამოვლინდა გამარჯვებული მე-2, მე-3, მე-4, მე-6, მე-8, მე-9 ლოტებზე შპს"რაგო" ხოლო მე-5 ლოტზე შპს"ხურო".

ვიწვევთ გამარჯვებულ კომპანიებს ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ფურქულ-ქართულ კომპანია "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს ბეტონშემრევის ქირაობასთან დაკავშირებით. გვსურს ვიქირაოთ

2 ცალი ბეტონშემრევი, სასურველია პომპით ან ლენტური მიწოდებით, 2000წელს ზემოთ გამოშვებული.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ზვიად ბერუაშვილს 877 99 01 49 ან მარინა ჭუნიაშვილი (822) 20 74 74 877 ან (877) 990 128

მადლობთ

გაეროს განვითარების პროგრამა

**UNDP საქართველო**

**8 ივლისი, 2009**

## მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის

გაეროს განვითარების პროგრამა "მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის" იწვევს ორგანიზაციებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. ტენდერის თემაა "ტრეინინგების და კონსულტაციური მომსახურების უზრუნველყოფა ბიზნესის განვითარებისთვის **შიდა ქართლში**". პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

ტენდერის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ საიტებზე: http://www.undp.org.ge, http://www.jobs.ge., www.regions.ge და www.publicity.ge;

გთხოვთ, თქვენი წინადადება წარმოადგინოთ არაუგვიანეს **17:00 სთ 28 ივლისისა, 2009** შემდეგ მისამართზე: ფალიაშვილის ქ. 66, სადარბაზო IV, ბინა 48, Tbilisi 0179, საქართველო.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გიწვევთ მობრძანდეთ საინფორმაციო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება **გორში, სამშაბათს, 14 ივლისს 14:00 საათზე** შემდეგ მისამართზე: სტალინის გამზ. 16, გუბერნატორის ოფისი, გორი, საქართველო.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
ია ჭანუყვაძე
მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის
ტელ: (+995 32) 25 18 71 (104)
ფაქსი: (+995 32) 25 18 71 (105)

**გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)** აცხადებს ტენდერს:

1. ქ. ბათუმში სასტუმრო მომსახურების თაობაზე

სატენდერო პაკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა **2009 წლის 22 ივლისი, 18:00 საათი.** შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია დეტალური მონაცემებით იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: **http://www.jobs.ge/18633/**

## განცხადება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 26 მაისის გაზეთ "24 საათში", სოფლების: არბოშიკის, გამარჯვების და ოზაანის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოს შესყიდვაზე, გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "მემონტაჟე ნიკა" და გაუფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება მიმდინარე წლის 29 ივნისს.

**სატენდერო კომისია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 02 ივლისის N452 ბრძანების საფუძველზე კავშირი "ადამიანი და ბუნებისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 30 ივნისი. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს, (დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ქ. თელავის ქუჩების სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

**სამუშაოები შესასრულებელია ქ. თელავში, 34 ქუჩაზე.**

1. **ორმოული შეკეთება - 2561.1 კვ.მ. 4სმ სისქით;**
2. **ასფალტის შემასწორებელი ფენა - 8189 კვ.მ. 3სმ სისქით;**
3. **ასფალტის ფენის გადაკვრა - 8189 კვ.მ. 3სმ სისქით.**

სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან - 3 თვე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის, 200 ლარის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ მოთხოვნისთანავე, 2009 წლის 10 ივლისიდან 30 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თელავი (2200), ერეკლე II გამზ N16, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, II სართული, ტელ: 8 250 7 31 05.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 31 ივლისს 10 საათიდან 14 საათამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში;

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის იურიდიული სტატუსი და რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (გვარ-სახელი, მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან, გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოების შესახებ.
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ნუსხა, შესრულების ვადების და დამკვეთის მითითებით.
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ.

ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების 2%-იანი გარანტია.

განცხადებაში მითითებული საკავალიფიკაციო მონაცემები და მოთხოვნები, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიული პირებისათვის შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება და აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ეხება ასევე შესყიდვაში მონაწილე პირების ქვეკონტრაქტორებსაც.

ტენდერში მიიღება ასევე ალტერნატიული წინადადებაც.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელდება გამარჯვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს საუკეთესო პირობებს, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება ერთი პრეტენდენტი.

დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: ხაზინის ერთიანი ანგარიში **N200122900**, საქართველოს ეროვნული ხაზინა **220101222**, სახაზინო კოდი **300513174**. აუცილებლად უნდა მიეთითოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

**დამატებითი ინორმაციისათვის მიმართეთ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ლევან ბასილაური, ტელ: 8 250 7 31 05, 855 227 229.**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება საქართველოს კანონით @"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ".

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 10 ივლისიდან აცხადებს ტენდერს საისრო ამძრავის ძრავების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **საისრო ამძრავის ძრავების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი <u>500 (ხუთასი)</u> ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **10 ივლისიდან** 2009 წლის **30 ივლისის** ჩათვლით <u>სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის</u> წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტის № | საქონლის დასახელება და მახასიათებლები | ერთ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | ძრავი საისრო ამძრავის ДПС-0.25 100ვ (33337-00-00-01) ТУ 32-ЦШ2119-2003 (ან ანალოგი) | ცალი | 5 |
| | ძრავი საისრო ამძრავის ДПС-0.25 160ვ (33337-00-00-02) ТУ 32-ЦШ2119-2003 (ან ანალოგი) | ცალი | 35 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** 2009 წლის IV კვ;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 30 ივლისის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

<u>იურიდიული პირებისათვის :</u>

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, <u>*რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*</u>
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, <u>*რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*</u>;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების <u>**5%-იანი**</u> საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.</u>

<u>ფიზიკური პირებისათვის :</u>

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, <u>*რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*</u>;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების <u>**5%-იანი**</u> საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.</u>

**7.** <u>**ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**</u>

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. <u>(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)</u>

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში <u>**დღგ–ს**</u> **გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ <u>**56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;**</u> (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

<u>სატენდერო კომისია</u>

GEONET myhost

შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge

3 თვე უფასო
ჰოსტინგი

470000
info@myhost.ge

აქცია

## განცხადება
## ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს სამგზავრო მიკროავტობუსების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. **შესყიდვის ობიექტი:**

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საჭიროებისათვის 3 ცალი სამგზავრო მიკროავტობუსი.**

ავტომობილს უნდა შეეძლოს არანაკლებ 15 მგზავრის გადაყვანა, საჭის მართვა ჰიდროგამაძლიერებლით, ძრავის მინიმალური მოცულობა 2,8 სმ3, დიზელის ძრავით, მექანიკური გადაცემათა კოლოფით, ძრავი, გადაცემათა კოლოფი, უკანა ხიდი კარგ მდგომარეობაში, არ უნდა იყოს კოროზირებული, სასურველია უკანა ოთხი საბურავით, გამოშვების წელი 1996-2000წწ;

*(ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში).*

3. **საქონლის მიწოდების პირობები -** საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 50 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. **მიწოდების ადგილი**: შესყიდვის ობიექტების მიწოდების ადგილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 30 ივლისის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N32. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 30 ივლისს 14 საათზე.

*(ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).*

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

b) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის მიმართ "საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ";

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

b) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

**შენიშვნა:** განცხადების მე-6 პუნქტში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ერთი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით).

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 30 ივლისის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 302003174. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამგზავრო მიკროავტობუსების შესყიდვა. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N32.

12. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

13. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრის - ანა გიორგობიანისაგან, მისამართზე: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N32. ტელ: 75-23-83.

*სატენდერო კომისია*

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 10 აგვისტოს ატარებს აუქციონს

## აუქციონზე გამოტანილი იქნება

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება, მასზე დამაგრებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით:

N2 ბაგა-ბაღი
სარეგისტრაციო ზონა-ქ. რუსათავი, კვარტალი N07, ნაკვეთის N243
მისამართი: ქ. რუსთავი, გოგებაშვილის ქ. N6, დაზუსტებული ფართობი: 4695კვ.მ, შენობა-ნაგებობა ფართით 572.16კვ.მ.
საწყისი საპრივატიზაციო ფასი-160 000(ასსამოციათასი) ლარი
"ბე"-64000(სამოცდაოთხიათასი)ლარი
Bბიჯი-1000ლარი

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის პირობით გათვალისწინებულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე''-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი N20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე''-ს შენატანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი
ბანკის კოდი 220101502
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287
ანგარიშის ნომერი 266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
220101222
სახელმწიფო ხაზინა
200122900
ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები (რუსთავი)
სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში):
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით:
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი N20
ტელ: (824) 12 12 66

**შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული სადგურ ფოთის ინფრასტრუქტურის განვითარების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ ტენდერის ცვლილება**

შპს საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 4 ივლისს გამოცხადებული იქნა საერთაშორისო ტენდერი **სადგურ ფოთის ინფრასტრუქტურის განვითარების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ მე-3 პუნქტში, სამუშაოს შესრულების ვადა ნაცვლად „ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში" განისაზღვროს შემდეგნაირად **„ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვის განმავლობაში"**

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

**სატენდერო კომისია**

---

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 02 ივლისის N453 ბრძანების საფუძველზე შპს "ნაკადულისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 30 ივნისი. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

9 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ნინო მიქელაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **19 856.11 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 22 ივლისს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ნინო მიქელაძე, მცხ: ქ.თბილისი, ახვლედიანის N4, ფაქ. მის: ქ.თბილისი, გოგებაშვილის შეს.2, N3;

---

# სსიპ საქართველოს შსს მომსახურების

სააგენტო აცხადებს კონკურს მიმოქცევიდან ამოღებული სახელმწიფო სანომრე ნიშნების დაჭრით მიღებული ალუმინის ჯართის რეალიზაციაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

1. კონკურსი ცხადდება ფერადი ლითონის (ალუმინი) ჯართზე, რომლის მოცულობა შეადგენს 6.0 ტონას.
2. სარეალიზაციო ჯართის საწყისი საზღაური 6000 (ექვსი ათასი) ლარი.
3. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს შემდეგ მისამართზე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ. ტელ: 41-90-14
4. სარეალიზაციო ჯართის ადგილმდებარეობა
საქართველო, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ.
5. განაცხადის მიღების ადგილი
თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო. ტელ: 41-90-14
6 განაცხადის მიღების ვადა
2009 წლის 10 ივლისიდან 2009 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა).
7. კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი)
2009 წლის 10 აგვისტოს 14 საათი.
8. საბანკო რეკვიზიტები
მიმღები: სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო
ანგარიში №7771313, სს "თი-ბი-სი ბანკი", კოდი 220101850, ს/კ 205190513
9. შენიშვნა:
კონკურსში მონაწილის მიერ კონვერტში წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტული დაფიქსირებული საზღაური.
10. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.
18. კონკურსში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ წინადადებების გახსნის პროცესს. წინადადებების განხილვა მოხდება მათი დასწრების გარეშე.
11. საკონკურსო პირობები:
კონკურსში გამარჯვებულის მიერ განსაზღვრული საზღაურის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღეში დაფარვა, საზღაურის დაფარვიდან არაუგვიანეს 3 დღეში ჯართის გატანა.
12. კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულოა "ბე" 1500 (ათასხუთასი) ლარის გადახდა, რომელიც გამარჯვებულ მხარეს ჩაეთვლება ანგარიშსწორების ნაწილად, ხოლო დამარცხებულ მხარეს დაუბრუნდება უკან კონკურსის დამთავრებიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში.
13. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:
მაქსიმალური საწყისი საზღაურის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საზღაურს.
ვალდებულების აღება დანარჩენი საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე.
14. შენიშვნა: გამარჯვებულის გამოსავლენად განიხილება მხოლოდ საზღაურის ოდენობა, იმ პირობით თუ პრეტენდენტი აიღებს ვალდებულებას სხვა საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
შესაბამისად პრეტენდენტის განაცხადი და დალუქულ კონვერტში მოცემული წინადადება უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ თანხმობას გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და საზღაურის თანხას, რომელიც უნდა აღემატებოდეს საწყისი საზღაურის თანხას (ეს უკანასკნელი თავსდება დალუქულ კონვერტში).
15. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება).
16. კონკურსში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
17. თუ კონკურსში წინადადებების გახსნით გამოვლინდება ორი ან მეტი იდენტური საზღაურის შემცველი წინადადება, გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება კენჭისყრის გზით.
18. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება წინადადებების გახსნიდან 5 დღის ვადაში.
19. კონკურსის ჩატარებიდან და გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში "გამარჯვებული" მონაწილე ვალდებულია სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოსთან გააფორმოს ხელშეკრულება.
20. კონკურსი ჩაითვლება უარყოფითი შედეგით დასრულებულად, თუ არ იქნება წარმოდგენილი არცერთი წინადადება, ან წარმოდგენილი წინადადებებიდან არცერთი არ შეესაბამება საკონკურსო პირობებს.
21. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებული იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დაჯარიმებულ იქნება საზღაურის ღირებულების 0,1 %-ით.
22. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯართის გაუტანლობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ. ამ შემთხვევაში გადახდილი "ბე" უკან არ ბრუნდება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (ნიმუში თან ერთვის), რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსში მონაწილე პირის თანხმობა გამოცხადებული პირობების შესრულებაზე;
ბ) კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საზღაურის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით, დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება);
გ)"ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი დანიშნულების მითითებით;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს (ბოლო მდგომარეობით ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) და ცნობა ვალის არარსებობის შესახებ.

განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს
________________________________________
________________________________________

განაცხადი

გაცნობებთ, რომ (მოქ.იურიდიული პირი)________________________________
გავეცანი სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოში არსებული ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის მიზნით კონკურსის ფორმით სახელმწიფო გადაცემის შესახებ და სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო აღნიშნულ კონკურსში.
თანახმა ვარ შევასრულო ქვემოთ ჩამოთვლილი საკონკურსო პირობები:

– კონკურსში გამარჯვებულის მიერ განსაზღვრული საზღაურის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღეში დაფარვა;
– საზღაურის დაფარვიდან არაუგვიანეს 3 დღისა ჯართის საკუთარი ძალებით გატანა.

რისთვისაც წარმოგიდგენთ:
1. "ბე"-ს გადახდის ქვითარს;
2. დალუქულ კონვერტს;
3.
5.

განმცხადებელი____________________
რეკვიზიტები, ანგარიშის №
ტელ.

დალუქული კონვერტით წარმოსადგენი წინადადების ნიმუში

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოში შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მიმოქცევიდან ამოღებული სანომრე ნიშნების განადგურებით მიღებული ჯართის კონკურსის ფორმით რეალიზაციის მიზნით მზად ვარ გადავიხადო შემდეგი რაოდენობის საზღაური:
საზღაური მითითებული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით.
ამასთან ვკისრულობ ვალდებულებას სხვა საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
ხელმოწერა:________________________________

## ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გ ა მ გ ე ო ბ ა

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

3-07-09. № 3

-203845349-
№11
07 07 2009
№ 010.260.040.38.101.013.262

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისათვის საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოს მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $22^1$-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „დამტკიცდეს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისათვის საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოს მიმწოდებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ნუსხა №1 და №2 დანართების შესაბამისად.
2. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა უფლებამოსილია ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას, დამტკიცებული ნუსხიდან შეარჩიოს წარმოდგენილი დოკუმენტები ან/და ინფორმაცია.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გამგებელი ნ. სანდუხაძე

### დანართი №1

**ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისათვის საქონლის, მომსახურებისთვის მომსახურების ან/და სამშენებლო სამუშაოს მიმწოდებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ნუსხა**

**1)** შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ სახელმწიფო შესყიდვისათვის შედგენილი მოთხოვნებისა და სამშენებლო სამუშაოებზე შედგენილი დეფექტური აქტის ან/და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ მომზადებული ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების შესაბამისად ასახული იქნება:

ა) სამშენებლო და სხვა მასალების ხარჯები რაოდენობრივ და თანხობრივ გამოსახულებაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული შრომის ანაზღაურებისა და ტრანსპორტირების ხარჯები;

გ) სხვადასხვა ხარჯები მიმწოდებლის შეხედულებით (შესაძლებელია გაუთვალისწინებელი ხარჯები), რომელზეც სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარეობის პროცესში აზრი გამოთქმული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ;

დ) დარიცხვები პროცენტული მაჩვენებლების მითითებით (ზედნადები ხარჯები – ადმინისტრაციისა და ოფისის შენახვის ხარჯები, მოგების ფიქსირებული პროცენტი და დღგ);

**2)** შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მომსახურების ან/და სამშენებლო სამუშაოების მიწოდების შესახებ და ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაბუთებული საფუძვლებითურთ;

**3)** მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**4)** სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით ეტაპობრივად და საბოლოოდ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობებისა და ღირებულების დოკუმენტები, რომლებშიც შესრულებულ სამუშაოთა ფაქტობრივი მოცულობების შესაბამისად ასახული იქნება:

ა) სამშენებლო და სხვა მასალების ხარჯები რაოდენობრივ და თანხობრივ გამოსახულებაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული შრომის ანაზღაურებისა და ტრანსპორტირების ხარჯები;

გ) მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული სხვადასხვა ხარჯები კონკრეტული თანხების მითითებით;

დ) დარიცხვები პროცენტული მაჩვენებლების მითითებით (ზედნადები ხარჯები – ადმინისტრაციისა და ოფისის შენახვის ხარჯები, მოგების ფიქსირებული პროცენტი და დღგ);

**5)** შესრულებულ სამუშაოთა მიღება – ჩაბარებისა და შედარების აქტები შესრულებულ სამუშაოთა მოცულობებისა და ღირებულების დოკუმენტებში დაფიქსირებულ მონაცემებსა და შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებულ რეალურ მონაცემებს შორის გამოვლენილი მეტობა – ნაკლებობის მითითებით;

**6)** შესრულებულ სამუშაოებზე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისათვის ანაზღაურებული თანხების სრულყოფილი დოკუმენტაცია (დღგ – ის ანგარიშ - ფაქტურები, თანხების ჩარიცხვის დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტები).

### დანართი №2

**ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისათვის საქონლის, მომსახურებისთვის საქონლის მიმწოდებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ნუსხა**

**1)** მისაწოდებელი საქონლის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვისას შედგენილი მოთხოვნების შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც მისაწოდებელი საქონლის რაოდენობისა და მოცულობის შესაბამისად, მიწოდების მთლიანი ღირებულება მოცემული იქნება ხარჯების შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

ა) მოსაწოდებელი საქონლის ფასები დღგ-სა და აქციზის ჩათვლით;

ბ) საქონლის მიწოდებისათვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯები;

გ) საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული საბაჟო ხარჯები (იმპორტის შემთხვევაში);

დ) საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯები (დაზღვევა, სანებართვო და სალიცენზიო ხარჯები, დასაწყობება და ა. შ.) მიმწოდებლის შეხედულებით, რომელზეც სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობის პროცესში აზრი გამოთქმული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ;

**2)** შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება საქონლის მიწოდების შესახებ და ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაბუთებული საფუძვლებითურთ;

**3)** მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**4)** სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით მიწოდებულ საქონელზე ასანაზღაურებელი მთლიანი ღირებულების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

ა) ანგარიშ-ფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები (ინვოისები – იმპორტის შემთხვევაში);

ბ) მიწოდებული საქონლის ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) მიწოდებული საქონლის საბაჟო დოკუმენტები (იმპორტის შემთხვევაში);

ე) საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები (დაზღვევა, სანებართვო და სალიცენზიო ხარჯები, დასაწყობება და ა. შ.)

**5)** მიწოდებული საქონლის მიღება – ჩაბარების აქტები, მიწოდებული საქონლის მოთხოვნილ პირობებთან შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ შესაბამისობის დაფიქსირების გათვალისწინებით.

**6)** მიწოდებულ საქონელზე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისათვის ანაზღაურებული თანხების ჩარიცხვის დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტები.

# ქალაქ თბილისის მერი

**07.07..2009წ.**
**020.280.160.38.101.013..263 ბრძანება N36**

2 ივლისი 2009წ.

"საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" ქ. თბილისის მერის 2009 წლის 11 თებერვლის N16 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" ქ. თბილისის მერის 2009 წლის 11 თებერვლის N16 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"1. შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ შეადგინოს ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე";
ბ) ბრძანების დანართით დამტკიცებული "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის" მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი იურიდიული პირი
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია" (შემდგომში - სამართალსუბიექტი).";
გ) ბრძანების დანართით დამტკიცებული "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის" მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"11. შედგენილი ოქმი, შედგენიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა, განსახილველად იგზავნება უფლებამოსილ ორგანოში - ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში";
დ) წესის N1 და N2 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა**

**დანართი N1**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმი N000000 სერია აა-000000

1. ------------------------ 2. -----------------------------------
შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) შედგენის ადგილი

3. ------------------------------------------------------------------------
ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

4. სამართალდამრღვევი: --------------------------------------------------------------
--
პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) რეკვიზიტები

---------------------------------------------------------------------------
(მათ შორის პირადი ნომერი), სახელი და გვარი,
---------------------------------------------------------------------------
მისამართი (რეგისტრაციის და სხვა);

5. სამართალდარღვევის ადგილი, დრო:

მარშრუტი N----------ავტობუსის სახ. N------------- ადგილი--------- -------------------
------------- დრო--------

6. პასუხისმგებლობა აღნიშნული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის ა" ქვეპუნქტით.

7. ------------------------------------------------------------------------
მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) რეკვიზიტები
---------------------------------------------------------------------------
(მათ შორის პირადი ნომერი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა), სახელი და გვარი

8. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტებები: -------------- ----------------
ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები,
---------------------------- ------------------------
ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება.

ოქმის შემდგენი --------------------- მოწმე ან სხვა მონაწილე ---------------------------
-
ხელმოწერა ხელმოწერა და სტატუსი

სამართალდამრღვევი ---------- ------------------------
ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ოქმის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები:
"ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება".

დამკვეთი: დამზადებულია:

მისამართი: სფს რეგისტრაციის N

[illegible] N 2

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | | [illegible] | | | | [illegible] | | | | [illegible] | | | | | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის 3კმ-ზე მშენებარე ობიექტების მაღალი ძაბვის (250/6/0.4) ქვესადგურის მოწყობის და ელექტრომომარაგების სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, ***მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ტენდერის დასახელება*** და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 მე-3 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. **სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 10 ივლისიდან 29 ივლისს 18:00 საათამდე.**

1. **შესყიდვის ობიექტი:**
**ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის 3კმ-ზე მშენებარე ობიექტების მაღალი ძაბვის (250/6/0.4) ქვესადგურის მოწყობის და ელექტრომომარაგების სამუშაოები.**
2. სამუშაოს შესრულების ვადაა 2009 წლის 1 სექტემბრამდე. დამატებითი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.
3. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **30 ივლისს 11:00 საათიდან 15:00 საათამდე** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (სამეწარმეო რეესტრიდან);
ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ
(საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
გ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება
(საქალაქო სასამართლოდან);
5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები და მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.
8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.
9. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
10. **ტენდერი ჩატარდება 30 ივლისს** 15:00 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
11. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
12. ტენდერში სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები არ გამოიყენება.
13. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით რეხვიაშვილი, ტელ. 41-11-69; 877 94-27-77, ნინო განჯელაშვილი 8 77 52-81-83.

**სატენდერო კომისია**
**1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნეკრესის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ0-კმ4.5 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

2 სამუშაოების შესრულების ვადა 2009 წლის განმავლობაში, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეუძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302007800, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის. მითითებული იქნას ობიექტის დასახელება). სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლებათ შემსყიდველ ორგანიზაციაში. სატენდერო დოკუმენტაციის, როგორც გატანა, ასევე გაცნობა შესაძლებელია 2009 წლის 10 ივლისიდან 2009 წლის 29 ივლისის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, შესყიდვების სამმართველო.

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2 ეგზემპლიარად, დედანი და ასლი (ცალ-ცალკე დალუქული კონვერტებით 2009 წლის 30 ივლისის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2009 წლის 31 ივლისის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 12, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მეთხე სართული, საქმისწარმოების განყოფილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მოთხოვნების თანახმად დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დააბრუნებს უკან.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ბ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**გ)** ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

**დ)** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

**ბ)** ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

**გ)** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზ-მების და დანად-გარების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდე-ნობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველ-ებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

ბ) ინფორმაციას პრეტენდენტი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

პრეტენდენტი პირის ძირითადი სპეციალისტების 50% უნდა გააჩნდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზებისა და ისეთი რთული საინჟინრო ნაგებობების როგორიცაა ხიდები აივნები და სხვა მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება | ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ (3 წლიანი უწყვეტი გამოცდილება სავალდებულო არ არის).

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზებისა და ისეთი რთული საინჟინრო ნაგებობების როგორიცაა ხიდები აივნები და სხვა მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოები, საერთო ღირებულებით 10 მლნ. ლარის ოდენობით. უშუალოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის (ქვეკონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ 50%. ამასთან ამ პერიოდში ერთ-ერთი ობიექტის ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზებისა და ისეთი რთული საინჟინრო ნაგებობების როგორიცაა ხიდები აივნები და სხვა მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოების ღირებულება უნდა შეადგენდეს 4 მლნ. ლარს.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

დ) ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება (მითითებული იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები) |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| და ა.შ. | | |

-- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%

**6.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**7.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პრეტენდენტის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა ცნობა და ინფორმაცია გარდა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიისა, პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შერჩევის დროს ექვემდებარება დაზუსტებას.

**10.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**11.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**12.** პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ღირებულების არა ნაკლებ 1% ოდენობით. (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე, დაწყებული 31.07.2009წ.)

**13.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

**14.** გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**15.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.05.08 დამატებით 2.92 გიზო ღლონტი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ადგილობრი ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, აცხადებს ტენდერს თბილისი -მესტია -თბილისის მიმართულებით სამგზავრო ავიარეისების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 29 ივლისს 13:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: დ. მესტია, სეტის მოედანი №1, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 29 ივლისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, 13:00 საათზე, მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მეორე სართული , დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
გ) ცნობას რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან);
დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს);
ე) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
ვ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ, შესაბამისი დოკუმენტის (ხელშეკრულება) დართვით;
ზ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ- ტექნიკური ბაზის შესახებ.
ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ ს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით ( ქირა, თხოვება და ა.შ ) მანქანა მექანიზმები, მოწყობილობები და დანადგარები.

*შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.*

| № | მანქანა-მექანიზმებისა და დანადგარების დასახელება | წერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და გამოშვების წელი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა, ტექნიკური პასპორტის ასლი, იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| და ა.შ. | | | | | |

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 28 ივლისის ჩათვლით მისამართზე მისამართზე: დ. მეტია, სეტის მოედანი № 1 მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მეორე სართული, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას სს სახალხო ბანკის მესტიის ფილიალი, ანგარიშის . №33030001, კოდი 220101459, დამატებით ინფორმაციაში უნდა მიეთითოს სატენდერო მოსაკრებელი.
5. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის გარანტია, გაცემული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ . საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.
6. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით.

7. სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა) განხორციელდება `სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ~ დებულების მე_15 მუხლის მე_5 და მე_6 პუნქტების შესაბამისად. პრეტენდენტს მიეცემა დისკვალიფიკაცია თუ მის მიერ წარმოდგენილი არ არის სატენდერო განცხადებით და საბაზისო მონაცემებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი ან წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა ბეჭდის დასმით.

9. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 10 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მარინა მერლანი, ირინა გურჩიანი, ნინო კალანდაძე, შემდეგ მისამართზე: დ. მესტია სეტის მოედანი№1 , მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მეორე სართული. ტელ: 899 35 32 96,
891225711,
899706079, სატენდერო კომისიის აპარატი.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა

განკარგულება #

დ. მესტია 23.06.09წ

## განცხადება
## ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,** თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამედიცინო მასალის და რეაქტივების შესყიდვაზე (12 ლოტი) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ***შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:***

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საჭიროებისთვის სამედიცინო მასალა და რეაქტივები:

| | |
|---|---|
| ლოტი 1 | დიაგნოსტიკუმები იმუნო ფერმენტული მეთოდის განსაზღვრისთვის. |
| ლოტი 2 | ქიმიური რეაქტივები და სახარჯი მასალა. |
| ლოტი 3 | TORCH ინფექციების სადიაგნოსტიკო იმუნო ფერმენტული ტესტ სისტემები და დამხმარე საშუალებები. |
| ლოტი 4 | ინფექციების სადიაგნოსტიკო სწრაფი ტესტები. |
| ლოტი 5 | რეაქტივი აგლუტინაციის მეთოდისთვის და ჰემოსტაზისთვის. |
| ლოტი 6 | რეაქტივები ფერმენტული მეთოდით განსაზღვრისთვის. |
| ლოტი 7 | ქიმიური რეაქტივები და ხელსაწყოები. |
| ლოტი 8 | რეაქტივები ჰემოსტაზის კვლევისთვის. |
| ლოტი 9 | ლაბორატორიული მოხმარების სამედიცინო საგნები. |
| ლოტი 10 | პირდაპირი იმუნოფლუორესცენცია ვირუსების ანტიგენზე. |
| ლოტი 11 | ბაქტერიოლოგიური ანალიზისთვის საჭირო საკვები ნიადაგები. |
| ლოტი 12 | რეაქტივები ბიოქიმიური კვლევისთვის. |

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** – საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ცალკეული პოზიციების მიხედვით, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის აგვისტოდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ***მიწოდების ადგილი:*** სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33 და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები სამ ეკზემპლარად (დალუქულ პაკეტში, ერთი დედანი, ორი ასლი), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 30 ივლისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, მე-3 სართული, ოთახი №319. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე (II სართ. ოთახი №225) 2009 წლის 30 ივლისს 16 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**6.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
ე) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ვ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისთვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 30 ივლისის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: მიმღები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ს/კ 211328703, „თი-ბი-სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850, ა/ა №609229. გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სამედიცინო მასალა და რეაქტივები. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, ოთახი №319.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: თინათინ ჭანტურიძე. მისამართზე: სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, ოთახი №319 ტელ: 54-42-59.

***სატენდერო კომისია***

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს ხეების მოჭრისა და გადაბელვისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

მოსაჭრელი ზეხმელი და ავარიული ხეების საერთო სავარაუდო რაოდენობა - 410 ძირი; გადასაბელი ხეების საერთო სავარაუდო რაოდენობა - 955 ძირი.

გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 10 დეკემბრისა.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 30 ივლისის 11:00 საათიდან - 2009 წლის 30 ივლისის 15:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, V სართული, საბინაო-კომუნალური განყოფილება.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

4.1.1 ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

4.1.2 ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

4.1.3 ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან).

4.1.4 ცნობას იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

4.2.1 ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

4.2.2 პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს.

4.2.3 საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს.

4.2.4 ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან).

4.2.5 ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

4.3.1 ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.

4.3.2 ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მომწოდებლების რეესტრში.

4.3.3 ინფორმაციას მომსახურეობის გასაწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

4.3.4 ინფორმაციას ბოლო პერიოდის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური მიწოდების შესახებ

5. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3.1, 4.3.3 და 4.3.4 პუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა **2009 წლის 10 ივლისის 11:00 საათიდან - 2009 წლის 29 ივლისის 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N1, V სართული, საბინაო-კომუნალური განყოფილება.

8. თანხა გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - სახელმწიფო ხაზინა; სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300773174;

**დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი ხეების მოჭრა-გადაბელვისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვაზე. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.**

9. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1 %-ის ოდენობით საბანკო გარანტიის ფორმით;

11. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ის ოდენობით, საბანკო გარანტიის ფორმით.

12. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შესმსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე, დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: 65-25-13, ნანა ლომჯარია - საკონტაქტო ტელეფონი: 65-58-58, მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

* სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები განცხადების მე-4-ე პუნქტის მიხედვით.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 09 ივნისის №1/1284 ბრძანების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 09 ივლისის №1-1/1660 ბრძანების საფუძველზე შემდეგ ობიექტებზე განცხადებების მიღება შეწყდა.

*დანართი №1*

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | მარნეული, სოფ. ბაიდარი | მდ. ხრამზე „ბაიდარ-კუტლიარის" ქვიშა-ხრეშის საბადო | $C_1+C_2$ | 5 წელი | 150 000 მ³ | 20 113 | 4 023 | 1 326,20 |
| 3 | წყალტუბო, სოფ. ოფურჩხეთი | „ოფურჩხეთის" ტეშენიტის გამოვლინება | P | 20 წელი | 40 500 მ³ | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |
| 9 | ამბროლაური, სოფ. პირველი ტოლა | ჭრებალოს თაბაშირის გამოვლინება | P | 5 წელი | 3 680 ტ. | 10 000 | 2 000 | 1 145.40 |
| 11 | თეთრი წყარო, სოფ. პატარა დურნუკი | დურნუკის დოლერიტის (სალორდე) გამოვლინება | P | 20 წელი | 380 000 მ³ | 10 000 | 2 000 | 1 204.20 |

**შპს ჩითახევი მოტელი -ს ლიკვიდატორის**

**განცხადება**

1. დაიწყო შპს ჩითახევი მოტელი -მ (ს/ნ 226113121) ლიკვიდაცია
2. ლიკვიდატორად დანიშნულია ნიკოლოზ კაპანაძე (ტელ.: 899-50-63-43)
3. საზოგადოების ყველა კრედიტორი და სხვა დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე: ბორჯომის რაიონი, დასახლება ჩითახევი

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 09 ივლისის N1-1/1659 ბრძანების საფუძველზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 10 ივნისის N1-1/1325 ბრძანებით დამტკიცებული დანართით განსაზღვრული ობიექტები ჩაშლილად გამოცხადდა.

## განცხადება

2009 წლის 27 აგვისტოს ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. №6, შპს რომპეტროლ საქართველო -ს ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართება რომპეტროლ საქართველო -ს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ნავთობბაზის (ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება) ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში - ქ. თბილისი, გულუას ქ. №6.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებებს წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 26 აგვისტო.

**შპს რომპეტროლ საქართველო -ს ადმინისტრაცია**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

გორის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 28 ივლისს, დღის 12 საათზე ქ. გორში, სამეფოს ქ. №50-ში სს მრეწვავტომატსაკი -ს (ს/ნ 217893572) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ცხელი და საშრობი საამქრო 541.25 კვ.მ - 34098 (ოცდათოთხმეტი ათას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი;
2. ცენტრალური საწყობი 196 კვ.მ - 10388 (ათი ათას სამას ოთხმოცდარვა) ლარი;
3. მიწა არასასოფლო 4094.75 კვ.მ - 53231 (ორმოცდაცამეტი ათას ორას ოცდათერთმეტი) ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს - **97717** (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ჩვიდმეტი) ლარს.

ქონება მდებარეობს მისამართზე - **ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 9.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარუდგინონ გორის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე **(302006000)** წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ამ ნივთის საწყისი ღირებულების **2%**, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი ან **5000** ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გორის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ გორის საგადასახადო ინსპექციას.

**მისამართზე: ქ. გორის, სამეფოს ქ. N50.**
**ტელ: 822 26-22-76; 822 26-18-58.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს **სახანძრო დაცვის შენობის მშენებლობაზე** (ქ. ხონი, ჭანტურიას ქ. №58) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული იქნება სამშენებლო სამუშაოების მოცულობები.

შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები დასატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 30 ივლისს, 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 5900, ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6, მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №205, 207. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ან მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან);

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება;

ვ) ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში:

- ყველა ის საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, რომელიც მოთხოვნილი არის ტენდერში ძირითადი მონაწილე პირისათვის.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

6. სატენდერო მოსაკრებლის, 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (კოდი: 212831550, ანგარიშის №200122900, სატენდერო მოსაკრებლის კოდი: 300293174. ბანკი: სახელმწიფო ხაზინა 220101222), სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 10 ივლისიდან, მისამართზე: ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6, ადგილობრივი თვითმმართველობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №205, 207.

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამრათზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

8. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები შეიძლება გადამოწმებული იქნას სატენდერო კომისიის მიერ ინდივიდუალურად.

11. იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი ზემოთ დადგენილ ვადაში სრულყოფილად არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ყველა ცნობასა და დოკუმენტაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. ტენდერი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6, მეორე სართ. ოთახი №205, 207; ტელ: 895 90 90 93, 895 90 11 42.

**სატენდერო კომისია**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

გორის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 29 ივლისს, 14 საათზე, ქ. გორში, სამეფოს ქ. №50-ში, ს/ს ასკოლი -ს (ს/ნ 217892234) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. საბავშვო ბაღის შენობა 544.5 კვ.მ - 43560 (ორმოცდასამი ათას ხუთას სამოცი) ლარი;
2. მეტალის ავზი 25 ტ. ორი ცალი - 2800 (ორი ათას რვაასი) ლარი;
3. მეტალის ცისტერნა 20 ტ. ერთი ცალი - 1100 (ათას ასი) ლარი;
4. პკჟ 6X1.5 ოცდაექვსი ცალი - 520 (ხუთას ოცი) ლარი;
5. რკინის კარები 3X2 ორი ცალი - 300 (სამასი) ლარი;
6. თეთრი აგური ორი ათასი ცალი - 200 (ორასი) ლარი;
7. პკჟ 5X4 ოთხი ცალი - 180 (ას ოთხმოცი) ლარი;
8. ტრანსფორმატორი ერთი ცალი - 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი;
9. საყარაულო ჯიხური 12 კვ.მ - 300 (სამასი) ლარი);
10. შემოღობვის ჩარჩოები 2.5X1.5 ორმოცდახუთი ცალი - 900 (ცხრაასი) ლარი;
11. რკინაბეტონის კოლონები 6 მეტრიანი ოცი ცალი - 1600 (ათას ექვსასი) ლარი;
12. საკედელე პანელი 6X1.2 თერთმეტი ცალი - 605 (ექვსას ხუთი) ლარი;
13. პკჟ 6X2.5 ხუთი ცალი - 125 (ას ოცდახუთი) ლარი;
14. პკჟ 4X1.3 რვა ცალი - 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი;
15. სინკარი 4X1.5 ოთხი ცალი - 240 (ორას ორმოცი) ლარი;
16. შენობა 24.5 კვ.მ - 735 (შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარი;
17. საქსოვი ფაბრიკის შენობა 4453 კვ.მ - 311710 (სამას თერთმეტი ათას შვიდას ათი) ლარი;
18. საქსოვი ფაბრიკის შენობის ნაწილი 946 კვ.მ - 28380 (ოცდარვა ათას სამას ოთხმოცი) ლარი;
19. ტრანსფორმატორი 1000 კვტ. ერთი ცალი - 9000 (ცხრა ათასი) ლარი;
20. სახარატო ჩარხი ერთი ცალი - 1800 (ათას რვაასი) ლარი;
21. საბურღი დაზგა ერთი ცალი - 900 (ცხრაასი) ლარი;
22. საქვაბის შენობაზე რკინა-ბეტონის კოჭი სამი ცალი - 180 (ას ოთხმოცი) ლარი.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 412731 (ოთხას თორმეტი ათას შვიდას ოცდათერთმეტი) ლარს.**

**ქონება მდებარეობს მისამართზე - ხარაგაულის რ-ნი, სოფ. ბორითი და ქ. ახალციხე, გ. ხანძთელის 36.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარუდგინონ გორის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე **(302006000)** წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%**, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

პირი, რომლის შემოთავაზებული ფასი მიღებული იქნება აუქციონზე და რომელიც შეისყიდის ჩამორთმეულ ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს თავის მიერ შემოთავაზებული ფასის არანაკლებ ნახევარი ან 5000 ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან **14** კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გორის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ გორის საგადასახადო ინსპექციას.
**მისამართზე: ქ. გორი, სამეფოს ქ. N50.**
**ტელ.: 822 26-22-76; 822 26-18-58.**

## პ ი რ ო ბ ე ბ ი

შპს ქ. თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი აცხადებს აუქციონს საკუთრებაში რიცხული, ქ. თბილისში, ვ. ფშაველას გამზ. №83/11-ში მდებარე შენობის 500 კვ.მ. ფართის, 6 (ექვს) ლოტად იჯარის გაცემასთან დაკავშირებით, შემდეგი პირობებით:

1. ლოტი №1 - 170 კვ.მ. (I სართული, ლიტ. ბ )

ა) იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით;

ბ) იჯარით გასაცემი უძრავი ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 10200 ლარით (ყოველთვიური გადასახადი 850 ლარი);

გ) ბე -ს ოდენობა განისაზღვროს 255 ლარით;

დ) სავაჭრო ბიჯი განისაზღვროს 20 ლარით მთლიან ლოტზე;

2. ლოტი №2 - 120 კვ.მ. (I სართული, ლიტ. გ )

ა) იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით;

ბ) იჯარით გასაცემი უძრავი ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 7200 ლარით (ყოველთვიური გადასახადი 600 ლარი);

გ) ბე -ს ოდენობა განისაზღვროს 180 ლარით;

დ) სავაჭრო ბიჯი განისაზღვროს 20 ლარით მთლიან ლოტზე;

3. ლოტი №3 - 24 კვ.მ. (I სართული, ლიტ. გ )

ა) იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით;

ბ) იჯარით გასაცემი უძრავი ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 2304 ლარით (ყოველთვიური გადასახადი 192 ლარი);

გ) ბე -ს ოდენობა განისაზღვროს 58 ლარით;

დ) სავაჭრო ბიჯი განისაზღვროს 20 ლარით მთლიან ლოტზე;

4. ლოტი №4 - 234 კვ.მ. (III სართული, ლიტ. გ )

ა) იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით;

ბ) იჯარით გასაცემი უძრავი ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 14040 ლარით (ყოველთვიური გადასახადი 1170 ლარი);

გ) ბე -ს ოდენობა განისაზღვროს 351 ლარით;

დ) სავაჭრო ბიჯი განისაზღვროს 20 ლარით მთლიან ლოტზე;

5. ლოტი №5 - 18 კვ.მ. (III სართული, ლიტ. გ )

ა) იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით;

ბ) იჯარით გასაცემი უძრავი ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 1080 ლარით (ყოველთვიური გადასახადი 90 ლარი);

გ) ბე -ს ოდენობა განისაზღვროს 27 ლარით;

დ) სავაჭრო ბიჯი განისაზღვროს 10 ლარით მთლიან ლოტზე;

6. ლოტი №6 - 14 კვ.მ. (IV სართული, ლიტ. ა )

ა) იჯარის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით;

ბ) იჯარით გასაცემი უძრავი ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 564 ლარით (ყოველთვიური გადასახადი 47 ლარი);

გ) ბე -ს ოდენობა განისაზღვროს 15 ლარით;

დ) სავაჭრო ბიჯი განისაზღვროს 10 ლარით მთლიან ლოტზე;

7. საერთო პირობები

ა) აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება განისაზღვროს 10 ლარით.

ბ) საიჯარო თანხის გადახდა განხორციელდეს ყოველთვიურად თანაბარ წილად (იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო თანხის გადახდის დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, თანხის გადახდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს).

გ) ბე -ს სახით შემოტანილი თანხა გათვალისწინებულ იქნეს პირველი საიჯარო წლის პირველი თვის საიჯარო გადასახდელ თანხაში.

8. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

ა) იჯარით აღებული ფართი გამოიყენოს მიზნებისათვის, რაც ხელს არ შეუშლის დაწესებულების სამედიცინო საქმიანობას;

ბ) საკუთარი ხარჯებით მოახდინოს ცალკე აბონენტად გამრიცხველიანება და გადაიხადოს გამოყენებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასური;

გ) დაიცვას სანიტარული პირობები და სისუფთავე, მოახდინოს წყლის მრიცხველის დაყენება და აბონენტად რეგისტრაცია (შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე წილობრივი გადახდა);

დ) ყველა სახის სარემონტო სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მეიჯარესთან შეთანხმებით;

ე) აუქციონში გამარჯვებული თვითონ აგებს პასუხს მის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ ფასეულობაზე (თუ არ იქნება მიღწეული შეთანხმება ობიექტის ერთობლივი დაცვის განხორციელებაზე);

ვ) აანაზღაუროს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებისათვის საჭირო ხარჯები.

9. საიჯარო პერიოდის განმავლობაში ეროვნული ვალუტის ცვლილების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია გაზარდოს საიჯარო ქირა შესაბამისი ოდენობით.

10. იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის მთავრობა მიიღებს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №83/11-ში მდებარე შენობის ან იჯარით გაცემული უძრავი ქონების რაიმე სახით განკარგვის გადაწყვეტილებას, აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს ეცნობება ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში და ეს გარემოება იქნება ხელშეკრულების მოშლის უპირობო საფუძველი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

- დადგენილი ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- ბე -ს და მონაწილის ბილეთის საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკურმა პირმა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- იურიდიულმა პირმა სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლი და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ნოტარიულა დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

განაცხადები მიიღება 2009 წლის 10 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 11.00 საათიდან 15.00 საათამდე.

აუქციონი ჩატარდება: 2009 წლის 10 აგვისტოს, 12.00 საათზე ქ. თბილისში, ვ. ფშაველას გამზ. №83/11.

ბე -ს, მონაწილის ბილეთისა და საიჯარო თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: 220101502
ანგარიშსწორების ანგარიში №800467797
საიდენტიფიკაციო კოდი: 204861952

აუქციონში დამარცხებულ მონაწილეს აუქციონის შედეგების (ოქმის) დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მოთხოვნის საფუძველზე ბე უბრუნდება ბანკის მომსახურეობის თანხის გამოკლებით.

აუქციონში გამარჯვებული პირის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების საწყის საიჯარო თანხაზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.

გამარჯვებული პირის მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს და გადახდილი ბე არ უბრუნდება.

თუ აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი ბე არ უბრუნდებათ.

განცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ვ. ფშაველას გამზ. №83/11
საკონტაქტო ტელეფონები: 316060; 322059

---

**შპს "ქობულეთის სოფლნაყოფიერება" 2009 წლის 28 ივლისს, 13:00 სთ-ზე**
**აცხადებს ღია აუქციონს შპს "ქობულეთის სოფლნაყოფიერების" სამეურვეო ქონებაზე.**

სამეურვეო ქონება წარმოადგენს 29000 ლარის აქტივებს. საწყისი ფასი 30000 ლარი. ბიჯი 50 ლ.

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №19.

ტელ. 899 54-02-07.

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

გორის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 30 ივლისს, დღის 12 საათზე ქ. გორში, სამეფოს ქ. №50-ში, კოოპერატიული საწარმო "ორეული"-ს (ს/ნ 236036703) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით, ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ხერხის სალესი ჩარხი - 1 ცალი 150 (ასორმოცდაათი) ლარი;
2. რეისმუსი - 1 ცალი 1400 (ათას ოთხასი) ლარი;
3. ფიცრის სარანდი ჩარხი - 2 ცალი 2200 (ორი ათას ორასი) ლარი;
4. ხის დამამუშავებელი - 1 ცალი 130 (ათას სამასი) ლარი;
5. ელექტრო ტელფერი - 1 ცალი 900 (ცხრაასი) ლარი;
6. დანების სალესი ჩარხი - 1 ცალი 400 (ოთხასი) ლარი;
7. ავტომანქანა "იჟ-2717" - 1 ცალი 500 (ხუთასი) ლარი;
8. სატრანსპორტო სადგური - 1 ცალი 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი;
9. სახარატო დაზგა - 1 ცალი 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარი);
10. სახერხი დაზგა - 2 ცალი 1900 (ათას ცხრაასი) ლარი;
11. რადიალური ხერხი - 1 ცალი 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარი;
12. საბურღი დაზგა - 2 ცალი 1200 (ათას ორასი) ლარი;
13. ელ. შემდუღებელი აპარატი - 1 ცალი 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;
14. კომპრესორი - 1 ცალი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი;
15. სალესი დაზგა - 1 ცალი 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;
16. გვერდების ჩამოსაგანი დაზგა - 1 ცალი 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი;
17. მოძრავი ცირკული - 1 ცალი 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარი;
18. სავენტილაციო სისტემა - 1 ცალი 1600 (ათას ექვსასი) ლარი;
19. სასაწყობო ნაგებობა - 214.2 კვ.მ 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 48750 (ორმოცდარვა ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს.**

**ქონება მდებარეობს მისამართზე - მცხეთის რ-ნი, სოფ. ქსანი.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ გორის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე **(302006000)** წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%**, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

პირი, რომლის შემოთავაზებული ფასი მიღებული იქნება აუქციონზე და რომელიც შეისყიდის ჩამორთმეულ ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს თავის მიერ შემოთავაზებული ფასის არანაკლებ ნახევარი ან **5000** ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან **14** კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გორის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ გორის საგადასახადო ინსპექციას.
**მისამართზე: ქ. გორი, სამეფოს ქ. N50.**
**ტელ.: 822 26-22-76; 822 26-18-58.**